კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ჯემალ ჟოჟაძე

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი მამუკა თორია

თბილისი 2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემაა „საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებები“, მასში განხილულია საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და მოქმედი ფაქტორები, გლობალიზაციის ის მიდგომები და პრინციპები, რომლებიც დანერგილია როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს რეალობაში და ზეგავლენას ახდენს საერთაშორის სავაჭრო ურთიერთობებზე.

საქართველოს დღევანდელი თავისუფალი (ლიბერალური) სავაჭრო პოლიტიკის პირობებში, არსებული გეოპოლიტიკური მდებარეობის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარული მრეწველობის პოტენციალის გათვალისწინებით, ეკონომიკის განვითარების დიდი შესაძლებლობები გააჩნია.

ქვეყანის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად, აუცილებელია ქვეყნის მწარმოებლური შესაძლებლობების და არსებული რესურსების სრული რეალიზაცია. მთავრობის მხრიდან საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება და სტიმულირება, რადგანაც საქართველოს გააჩნია ისეთი ბუნებრივი რესურსები და შესაძლებლობები, რომელიც მნიშვნელოვანია ექსპორტის ზრდისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებები და მიდგომები, წარმოჩენილია ის პერსპექტიული დარგები და სფეროები, რომელთა განვითარება დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე.

Jemal zhozhadze

Peculiarities of Trade Policy of Georgia

Annotation

The topic of the master's thesis is "Peculiarities of Trade Policy of Georgia ", it discusses the stages and active factors of the formation of Trade Policy of Georgia, the approaches and principles of globalization that are introduced in both international as well as in Georgian reality and their influences in international trade relations.

There are great opportunities for the economic development in the current free (liberal) Trade Policy of Georgia, under the existing geopolitical location, natural resources and the potential of the agrarian industry,

In order to achieve the maximum efficiency of the country's economic prosperity, it is necessary, to fully realize the country's productive capacity and available resources. Raising and stimulating the export potential of Georgian-made products by the government, as Georgia has natural resources and opportunities that are important for export growth.

In view of the above, the paper discusses the measures and approaches to increase the export potential of the government of Georgia, and presents the promising sectors and areas that will have a positive impact on the development of Foreign Trade of Georgia.

სარჩევი

შესავალი ---------- 5
თავის 1. სავაჭრო პოლიტიკის კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები ---------- 8
1.1სავაჭრო პოლიტიკის არსი და განვითარების ეტაპები ---------- 8
1.2 სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების ინსტიტუციონალური საფუძვლები------- 18
თავი 2. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა საერთაშორისო ინტეგრაციის პირობებში ----------24
2.1 საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ანალიზი ----------24
2.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები;----------34
2.3 სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმები.----------39
თავი 3. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პრიორიტეტები ----------45
3.1 საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები----------45
3.2 საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. 56
დასკვნა---------- 58
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 60

შესავალი

თემის აქტუალობა. დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციისა და სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობების გავლენით, ტექნოლოგიურ, სამეცნიერო თუ სხვა სფეროებში მიღწეული განვითარების პირობებში შეუძლებელია ერთეულმა ქვეყნებმა გაატარონ სრულად ჩაკეტილი შიდა ეკონომიკური მიდგომები, შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან ჩაერთონ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში და მუდმივად იქონიონ კავშირი სხვა ქვეყნებთან.

საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა არის ჩართული, რადგან, დღესდღეობით შეუძლებელია ერთმა ქვეყანამ შეძლოს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფა იმპორტირებული პროდუქციის გარეშე. ეს ყველაფერი კი წარმოშობს საჭიროებას პარტნიორი ქვეყნების მოძიების, რაც შემდეგ ქმნის/ავითარებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს და აყალიბებს სავაჭრო პოლიტიკას. ექსპორტის განვითარების ფაქტორი უმნიშვნელოვანესია ქვეყნისათვის, დადებითი სავაჭრო სალდოს მისაღწევად - იმპორტირებული პროდუქციის ხარჯების გადასაფარად, და შედეგად ეკონომიკის გაძლიერებისათვის.

საქართველოს ისტორიიდან და მისი გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ოდითგან იყო ჩართული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში და მუდმივად იყო საერთაშორისო საქონელთ მიმოცვლის მონაწილე, რაც ნაშრომშიც არის განხილული. აღნიშნულს ისტორიულად ის ფაქტიც ამყარებს, რომ ჩვენს ქვეყანაზე გადიოდა ე.წ. „აბრეშუმის გზა“, რომელიც იყო და არის აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი.

საბჭოთა კავშირს დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანას მოუწია სწრაფად ჩართულიყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, მაგრამ 1990-იან წლებში ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ საქართველოს, გამოუცდელობის გამო, გაუჭირდა სწრაფად გადასულიყო საბაზრო ეკონომიკაზე, აუცილებელი გახდა ქმედითი რეფორმების გატარება: საგარეო ურთირეთობების დალაგება, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა და საბაზრო წილის

შენარჩუნება, ქვეყნის შიგნით სწორი სავაჭრო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც საერთო ჯამში არის ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველი.

დღეს, მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში საქართველო, როგორც მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის წარმართვისას დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარებაზე. გამომდინარე იქედან, რომ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მისი როლი გლობალიზაციის პირობებში შედარებით გაიზარდა, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ საქართველო მოიაზრება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფნად, ხელისუფლებამ უნდა შეძლოს ამ ვითარების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება და სოციალური, ეკონომიკური კეთილდღეობის გამყარება.

საქართველოს მთავარ მიმართულებად ითვლება ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარება. რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ ქვეყანის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, არსებული ბაზრების შენარჩუნება და ამ ბაზრებზე უფრო კარგი პირობების მოპოვება ქართული ექსპორტიორი კომპანიებისათვის, ახალი ბაზრების მოძიება, მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება ახალ სავაჭრო პარტნიორებთან (ასეთი შეთანხმებები უკვე გაფორმებულია ჩინეთთან, ევროკავშირთან, აშშ-სთან, დსთ-ს ქვეყნებთან და სხვა).

ქვეყნის ექსპორტის შესაძლებლობების ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ ღონისძიებათა ერთობლიობაზე, როგორიცაა სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და ამისათვის შესაბამისი საკანომდებლო ცვლილებები და რეფორმები, საბაჟო გადასახადების შემცირება/გაუქმება, კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება და აღსრულების ზრუნველყოფა. რაც საერთა ჯამში მოგვცემს შედეგს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღების, საექსპორტო პოტენციალის ზრდის მიმარულებით და რაც მთავარია ეს ყველაფერი წინაპირობა გახდება ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაუმჯობესების და განვითარებისთვის.

ნაშრომის მიზანია: საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დახასიათება, მისი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საგარეო ურთირეთობებზე, პრობლემის გამოვლენა,

ანალიზი და შესაძლო გადაჭრის გზების ჩამოყალიბება. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია:

- სავაჭრო პოლიტიკის ისტორია და განვითარების ეტაპები;
- საქართველო საგარეო ვაჭრობის ანალიზი
- საქართველო სავაჭრო პოლიტიკის კურსი და მისი ზეგავლენა შიდა სავაჭრო პოლიტიკაზე;

კველვის საგანია: საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი, ნაშრომში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მიმართულებით განვითარებული მოვლენები, არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.

კველევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ ეკონომიკის მეცნიერთა/ავტორთა ნაშრომები, სტატიები, დოქტრინები და სხვა.

კვლევა ეყრდნობა საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზს სატარიფო და არასტარიფო ბარიერებით. ინფორმაცია მოპოვებულია სხვადასხვა ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე, საჯარო მონაცემებსა თუ ანგარიშებზე დაყრდნობით. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი „ესკო“, WTO). წინამდებარე ნაშრომის მომზადების დროს (2020 წლის I-II კვარტალი) კორონა ვირუსით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის (COVID 19) შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოში მოქმედებდა შეზღუდვის რეჟიმები (მათ შორის კარანტინი), შესაბამისად, თემის ირგვლივ საკითხების შესწავლა-დაზუსტების მიზნით, ვერ მოხერხდა უშუალო კვლევების ჩატარება და სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია მხოლოდ მითითებული სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან.

თავის 1. სავაჭრო პოლიტიკის კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 სავაჭრო პოლიტიკის არსი და განვითარების ეტაპები

სავაჭრო პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა-გაძლიერების მიზნებიდან გამომდინარე, იგი სავაჭრო ურთიერთობებში სახელმწიფოს ჩარევისა და რეგულირების ფარგლების მიხედვით შეიძლება იყოს თავისუფალი ან პროტექციონისტული მიმართულების ან აერთიანებდეს ორივე მიმართულების ელემენტებს მეტ-ნაკლებად და მოიცავს სახელმწიფოს მიერ საშინაო და საგარეო ვაჭრობის, ანუ, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან, ასევე, ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებით, მოცემული და სხვა სახელმწიფოს მეწარმე სუბიექტებს შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და საქონლის შემოტანა-გატანის რეგულირების მიზნით, საერთაშორისო ურთიერთობებში ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, დადგენილი რეჟიმებისა (სამართლებრივი ნორმები, ინსტიტუციონალური ორგანოები) და ღონისძიებების ერთობლიობას. აღნიშნული საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე გულისხმობს სავაჭრო პროცესებზე ზემოქმედებას სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარების გზით (მოლაპარაკებების წარმოება, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, საერთაშორისო შეთანხმებებზე მიერთება, სხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება და სხვა). მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკა ხორციელდებოდეს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის, სამეზობლო რეგიონისა თუ ბუნებრივი რესურსების (ნედლეულის), საქონელთ წარმოებაუნარიანობის გათვალისწინებით, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და მისი შემდგომი გაუმჯობესება-განვითარების პერსპექტივებზე.

ადამიანთა შორის სავაჭრო ურთიერთობების არსებობა ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანის პერიოდიდან დასტურდება (ნივთების ნატურით გაცვლა), ხოლო, ამ ურთიერთობების

ინსტიტუციონალური მოწესრიგების (სახელისუფლებო დონეზე ქცევის ზოგადი წესების - კანონების შემუშავება) ფაქტები ძველი მსოფლიო ისტორიის არაერთმა წერილობითმა წყარომ შემოინახა, რომელთაგან აღსანიშნავია: ძველი წელთაღრიცხვის მე-20 საუკუნეში შექმნილი ეშნუნის სამეფოს კანონთა კრებული, რომელიც იწონებდა მაღალ ფასებს ძირითად საკვებ პროდუქტებზე და გაცვლის საყოველთაო ეკვივალენტად ვერცხლს მიიჩნევდა [ავთანდილ სილაგაძე, თბილისი, 2010, გვ. 27]; ბაბილონის მეფე ხამურაბის მიერ ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეში შექმნილი „კანონთა კრებული“ - ე.წ. „ხამურაბის კანონები“, რომელიც ვაჭრობასთან და კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებულ წესებს ადგენდა, ამ დროისათვის ბაბილონი მთელი წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, მას აქტიური სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან, გაცვლის საყოველთაო ეკვივალენტად ძირითადად ვერცხლი გამოიყენებოდა, სავაჭრო და სავახშო ოპერაციებს აწარმოებდნენ სავაჭრო აგენტები - თამქრები, ხოლო, ახალბაბილონური სამეფოს პერიოდში, იგი თავისი ბაზრებით („ეგიბის ძეთა სავაჭრო სახლი“, „მურაშუს ძეთა სავაჭრო სახლი“) მთელი წინა აზიის სავაჭრო ცენტრად იქცა [ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, თბილისი, 1977; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი 11, 1987; Code of Hammurabi, Translated by L. W. King, Internet History Sourcebooks Project, https://sourcebooks.fordham.edu/ancient/hamcode.asp] პირთა შორის ვაჭრობის - ყიდვა-გაყიდვის, მომსახურების (ნარდობა) სახელშეკრულებო ურთიერთობებს დეტალურად და სრულყოფილად აწესრიგებდა რომის სამართალი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში 10 კაციანი კომისიის მიერ შედგენილი XII ტაბულის კანონი [გიორგი ნადარეიშვილი, თბილისი, 2005; ვალერიან მეტრეველი, თბილისი, 2009] წარმოადგენს, რომის სამართლის წერილობითი წყაროები შემდგომში საფუძვლად დაედო თანამედროვე სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობების ფორმებსა და მათი მომწესრიგებელი სისტემების შექმნას.

მსოფლიო ისტორიის ადრეული პერიოდიდან მოყოლებული ადამიანთა ერთობებს (ტომები), უძველეს ქალაქ სახელმწიფოებსა თუ იმპერიებს შორის ურთიერთობის ფორმას, დაპყრობითი, თავდაცვითი ომებისა და მარბიელი ლაშქრობების პარალელურად ვაჭრობა - საქონელთ გაცვლა წარმოადგენდა. ზოგიერთი მოსაზრებით

ვაჭრობა განიხილება მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც სწორედ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ პერიოდში ალტერნატიული სავაჭრო გზების ძიებას მოჰყვა. თავის მხრივ, სავაჭრო ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაწყება ამ პერიოდს, ანუ შუასაუკუნეების დასასრულს უკავშირდება. XV-XVI საუკუნეებში ნაოსნობის განვითარებას, ამერიკის აღმოჩენას და ევროპის ქვეყნების მიერ კოლონიალიზაციას, ასევე ინდოეთთან, აფრიკის შემოვლით, ახალი გზის პოვნას მოჰყვა ევროპაში დიდი რაოდენობით ოქროს-ვერცხლისა და აქამდე უცნობი პროდუქციის (ყავა, პომიდორი, სიმინდი, კარტოფილი, შაქარი, ჩაი და სხვა) შემოდინება. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობა, პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად ფართოვდება მრეწველობა და საქონლის ტრანსპორტირება ქვეყნებს შორის, შავკანიანი მონებით ვაჭრობა და მასზე დამყარებული პლანტატორული საქმიანობა. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად განვითარდა სახელმწიფოთა ეკონომიკა, ამავდროულად ქვეყნებს შორის ვაჭრობა ხელს უწყობდა კულტურის, ხელოვნების ნაწარმოებთა აღმოჩენა - გავრცელებას, აღნიშნულის, ასევე, ქაღალდისა და საბეჭდი მანქანის გამოგონების შედეგად გარდატეხა მოხდა ადამიანთა კულტურასა და ცნობიერებაში - დაიწყო ახალი - რენესანსის ეპოქა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ანთროპოცენტრიზმი[1]. იწყება ბერძენი კლასიკოსების ნაშრომთა შესწავლა. ამ პერიოდში ფეხს იკიდებს მერკანტილიზმი, რომლის იდეები ეფუძნებოდა სახელმწიფო როლის გაზრდას ვაჭრობის ხელშეწყობაში, რაც თავის მხრივ განაპირობებდა სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას. სწორედ ამ ეპოქაში - მე-16 საუკუნიდან იწყება საგარეო სავაჭრო ურთიერთობების თეორიული შესწავლა და ქვეყნის განვითარებაში მისი მნიშვნელობის აღიარება, ყალიბდება ამ იდეების შესაბამისი დოქტრინები.

მერკანტილისტური შეხედულებები ძირითადად ვაჭრების, მევახშეების, მსხვილ საწარმოთა მფლობელების და სახელმწიფო პოლიტიკური ელიტების გავლენით იქმნებოდა და მათი ინტერესების გამომხატველი იყო. სწორედ მათი ქმედებების შედეგად მოხდა მერკანტილიზმის იდეების პრაქტიკული რეალიზება და სახელმწიფოთა პოლიტიკაში დანერგვა. სახელმწიფოთა მთავრობებისთვის

აღნიშნული თეორია მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ვაჭრობაში წარმატება პირდაპირ აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკურ სიძლიერეზე.

მერკანტილისტური დოქტრინების მიხედვით [ავთანდილ სილაგაძე, თამარ ათანელიშვილი, თბილისი, 2007; ავთანდილ სილაგაძე, თბილისი, 2010, ავტორთა კოლექტივი (ო. გიგიაშვილი, რ. ფუტკარაძე და სხვები), თბილისი, 2011], საკვები იაფი და შრომის ანაზღაურება დაბალი უნდა ყოფილიყო, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში წარმოებულ საქონელზე დაბალი ფასების შენარჩუნებას და შესაბამისად, ამით მნიშვნელოვან კონკურენციას გაუწევდა სხვა ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას, სახელმწიფო ძლიერი უნდა ყოფილიყო, რათა დაეცვა ვაჭრობის ინტერესები, ეკონომიკურ საქმიანობებში წამყვანი ადგილი საგარეო ვაჭრობამ დაიკავა, გაიზარდა ვაჭართა როლი და ვაჭრობა დაფასებულ პროფესიად იქცა, ეროვნული სიმდიდრის წყაროდ მიჩნეულ იქნა სასაქონლო და ფულადი საშუალებების ბრუნვა და მათი დაგროვება, შესაბამისად, ქონების მნიშვნელოვან ნაწილად აღიარებულ იქნა ძვირფასი ლითონები (ფულადი ექვივალენტი), ქვეყნის კეთილდღეობისა და ეკონომიკური სიძლიერის მიღწევის ძირითად საშუალებად განიხილებოდა ქვეყნიდან გატანილი საქონლის - ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა შემოტანილ საქონელთან - იმპორტთან მიმართებაში, რაც ხელს შეუწყობდა ფულადი სახსრების დაგროვებას ქვეყანაში. შესაბამისად, ფულადი სახსრების დაგროვების ძირითად წყაროდ საგარეო ვაჭრობა განიხილებოდა.

მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს უნდა შეემუშავებინა ისეთი სავაჭრო პოლიტიკა და რეგულაციები, რომლის შედეგად შეინარჩუნებდა დადებით სავაჭრო ბალანსს - ექსპორტი მეტი იქნებოდა იმპორტზე, დააწესებდა შეზღუდვებს იმპორტულ საქონელზე, შეუწყობდა ხელს საექსპორტო წარმოების სტიმულირებას, აკრძალავდა ქვეყნიდან ნედლეულის გადინებას და კერძო პირთა მიერ ოქროს გატანას. განიხილებოდა სახელმწიფოს მიერ საწარმოების შექმნაც.

მერკანტილიზმის ეპოქა დასრულდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, მისი განვითარება იყოფა ორ ეტაპად: ადრინდელი მერკანტილიზმი (მე-15-16 სს.) – „ფულადი ბალანსის თეორიით“ და გვიანდელი ანუ განვითარებული მერკანტილიზმი (მე-16-17 სს.) – „სავაჭრო ბალანსის“ თეორიით. ადრინდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლები (ნ.

მაკიაველი, უ. სტაფორდი, ჟ. ბოდენი) ფულადი სახსრების გაზრდას წმინდა საკანონმდებლო წესებით მოითხოვდნენ, კერძოდ, ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყანაში მისი დაგროვებისთვის აუცილებელი იყო მისი საზღვარგარეთ გატანის აკრძლვა, საქონელთა ექსპორტის ზრდა, იმპორტის შემცირება და სხვა. გვიანდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლების (ა. სერა, ჯ. ჰეილსი, თ. მენი, ა. მოკრეტიენი, ჟ.ბ. კოლბერი და სხვა) აზრით, ქვეყანა მით უფრო მდიდარია რაც მეტად აქტიური სავაჭრო ბალანსი აქვს. ისინიც სიმდიდრეს ფულში ხედავდნენ, მაგრამ ფულის მიმოქცევა ქვეყანაში მეტი ფულის შემოტანის მიზნით უნდა დაჩქარებულიყო. ამ მიმართულების მერკანტილისტები მოითხოვდნენ ექსპორტისა და იმპორტის ტემპების ზრდას, პირველის სასარგებლოდ, რაც ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დადებით სალდოს უზრუნველყოფდა. ისინი იცავდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც უცხოური საქონლის შემოტანაზე ბაჟები იზრდებოდა, ხოლო ექსპორტი კი უნდა წახალისებულიყო. მერკანტილიზმის დოქტრინები კარგად არის აღწერილი „სავაჭრო თეორიის“ წარმომადგენლის თომას მენის ნაშრომში: „ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი“ და იგი ავტორის მეორე ნაშრომთან „მსჯელობანი დასავლეთ ინდოეთთან ინგლისის ვაჭრობის შესახებ“ განიხილება მერკანტილისტური იდეების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან წყაროდ [ავთანდილ სილაგაძე, თბილისი, 2010, გვ. 84, 89].

მერკანტილისტებმა პირველებმა სცადეს შეემუშავებინათ ეკონომიკური თეორიები, პირველად მათ მიანიჭეს დიდი მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობას ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, შეიმუშავეს და დაამკვიდრეს სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა პროცესები და ინსტრუმენტები, რომლებიც შემდგომში დაიხვეწა ან/და ახალი რეგულაციებისა თუ პროცესების სტიმულატორი გახდა. თუმცა, ისინი ცდებოდნენ როცა ამტკიცებდნენ, რომ: ერთი ქვეყნის გამდიდრება შეიძლება მეორე ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე, ვაჭრებისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, ვაჭრების მოგების ზრდა პროპორციულად აისახება სახელმწიფოს სიმდიდრეზეც და ამიტომ სახელმწიფო მუდმივად უნდა ეწეოდეს მათ პროტექციას.

მე-18 საუკუნეში სამრეწველო (ქარხნული) კაპიტალიზმი სწრაფი ტემპებით ვითარდება, რამაც საფუძველი შეურყია გილდიების[2] არსებობას და ვაჭართა წამყვან როლს, შეცვალა საგარეო ვაჭრობასთან, შრომის ანაზღაურების შეზღუდვებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით არსებული შეხედულებები, იზრდება კონკურენცია და სუსტდება წარმოების მონოპოლიზაცია, სახელმწიფო ვეღარ ახერხებს ამ პროცესებში სრულად ჩარევას და რეგულირებას, მკვიდრდება თავისუფალი ბაზარი, მუშახელის დაქირავება კაპიტალისტის მიერ ხდება მასთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, სახელმწიფო რეგულაციებისგან თავისუფალ გარემოში. შესაბამისად, მერკანტილიზმი კარგავს აქტუალობას. მერკანტილისტური შეხედულებები პირველად გააკრტიკა ფიზიოკრატების წინამორბედმა და ლიბერალური ეკონომიკური შეხედულებების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა პიერ დე ბუაგილბერმა (საფრანგეთი, 1646-1714წწ) [გრიგოლ თოდუა, თბილისი, 2004], რომელმაც შეიმუშავა „შრომითი ღირებულების“ დოქტრინა - საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე გაწეული შრომით, კეთილდღეობის წყაროდ სოფლის მეურნეობა მიიჩნია და წამოაყენა ვაჭრობის თავისუფლებისა და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეა. ერთ-ერთი პირველი ვინც ასევე აკრიტიკებდა მერკანტილიზმს იყო ინგლისელი დეივიდ იუმი (მე-18 ს.) [გრიგოლ თოდუა, თბილისი, 2004; ავტორთა კოლექტივი (ო. გიგიაშვილი, რ. ფუტკარაძე და სხვები), თბილისი, 2011], რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ დადებითი სავაჭრო სალდოს მუდმივად შენარჩუნება ქვეყანაში დიდი რაოდენობით ოქროს (ფულის) დაგროვების პირობებში შეუძლებელია, ვინაიდან, ფულის რაოდენობის ზრდა გამოიწვევს ფასების ზრდას, რაც თავისთავად ნაკლებ კონკურენტუნარიანს გახდის ქვეყანაში წარმოებულ საქონელს უცხოურ პროდუქციასთან შედარებით და შესაბამისად, სავაჭრო სალდოც უარყოფითისკენ გადაიხრება, საქონლის ფასი უნდა იყოს ფულის რაოდენობის პროპორციული, ქვეყნებს შორის ოქროს მოძრაობა მათი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა, ვაჭრობის განვითარება ვაჭართა შორის კონკურენციას წარმოშობს, რაც საქონელზე ფასებს შეამცირებს, შესაბამისად შემცირდება მოვაჭრეთა მოგებაც. იუმი ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ვაჭრების როლს, თუმცა მისი შეხედულებები ლიბერალიზმისკენ იხრებოდა,

თავისუფალი ბაზრის არსებობას უჭერდა მხარს, მაგრამ განვითარებული ეკონომიკის მიღწევის შემდეგ საგარეო ვაჭრობის არსებობას უსაფუძვლოდ თვლიდა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან საფრანგეთში ვრცელდება „ეკონომიკის ერთ-ერთი პირველი სკოლის“ – „ფიზიოკრატების“ შეხედულებები, რომლებიც ერის კეთილდღეობის წყაროდ მიწას და შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარებას მიიჩნევდნენ, სწორედ ამ მოსაზრებიდან ჩამოყალიბდა მათი ძირითადი დოქტრინა, რომელიც „წმინდა პროდუქტის“ სახელწოდებითაა ცნობილი. „ფიზიოკრატების მამად“ წოდებული და მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფრანსუა კენეს (1694-1774წწ.) [გრიგოლ თოდუა, თბილისი, 2004] აზრით სიმდიდრე მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაშია, მრეწველობა კი უნაყოფოა, წმინდა პროდუქტს წარმოადგენს ის შემოსავალი, რაც რჩება მიწათმოქმედების შედეგად, მასზე გაწეული ხარჯების გამოკლებით. მასვე ეკუთვნის ცნებები „თავდაპირველი ავანსები“ და „ყოველწლიური ავანსები“, რომლებიც კაპიტალის ძირითად და საბრუნავ საშუალებებად დაყოფის პირველი მეცნიერული მცდელობაა. გარკვეულ წილად ფიზიოკრატიული მიდგომები ლიბერალიზმის მიდგომების წინაპირობად ითვლება.

საფრანგეთში ფიზიოკრატების შეხედულებების დამკვიდრების პარალელურად ინგლისში ყალიბდება კლასიკური ეკონომიკური ლიბერალიზმის ბრიტანული სკოლა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ადამ სმითი და დეივიდ რიკარდო.

შოტლანდიელი პოლიტეკონომისტი და ფილოსოფოსი ადამ სმითი (1723-1790) საფრანგეთში ყოფნის დროს ხშირად სტუმრობდა ფიზიოკრატთა შეხვედრებს, მეგობრობდა დეივიდ იუმთან [ავთანდილ სილაგაძე, თბილისი, 2010], რამაც შეიძლება ითქვას გარკვეულწილად გავლენა მოახდინა მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. იგი მერკანტილიზმის წინააღმდეგია და ლიბერალურ ეკონომიკას, თავისუფალ ვაჭრობას ანიჭებს უპირატესობას, რასაც ეკონომიკის განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევს. მის სახელს უკავშირდება აბსოლუტური უპირატესობის თეორია, შრომითი ღირებულების თეორია და „შრომის საერთაშორისო დანაწილება“, შეხედულება თავისუფალი ბაზრის „უჩინარი ხელით“ მონაწილე სუბიექტების საქმიანობის მოწესრიგების შესახებ. ეს თეორიები და შეხედულებები სმითმა ჩამოაყალიბა თავის ყველაზე ცნობილ და აღიარებულ ნაშრომში „კვლევა ერების სიმდიდრის ბუნებისა და

მიზეზების შესახებ“ (1776). ამ ნაშრომში მან პირველმა გაუსვა ხაზი შრომის დანაწილების მნიშვნელობას შრომის პროდუქტიული ძალის განვითარების პროგრესსა და ხელმარჯვეობა-დახელოვნებაში, რაც დაზოგავს დროს და დასაქმებულთა ენერგიას, ამავდროულად, აღნიშნული გულისხმობს შრომის დანაწილებას ტერიტორიული ნიშნითაც (ნიადაგის, ჰავის, ბუნებრივი რესურსების და მდებარეობის გათვალისწინებით), შესაბამისად, გაიზრდება წარმოების მოცულობა და მანუფაქტურის მფლობელთა შემოსავალიც, პროპორციულად - ქვეყნის მრეწველობა და განვითარდება ეკონომიკა. შრომის დანაწილების უპირატესობის საილუსტრაციოდ ნაშრომში მოყვანილია ცნობილი ქინძისთავების წარმოების მაგალითი - ერთი მუშა, რომელმაც არ იცის ამ წარმოებისთვის საჭირო ყველა ოპერაცია, ძნელად თუ შეძლებს დღეში ოცი ქინძისთავის გაკეთებას, მაშინ როცა შრომის დანაწილების პირობებში, წარმოების პროცესის 18 სხვადასხვა ქმედებად (ოპერაციად) განაწილების შემთხვევაში, 10 მუშას შეუძლია დღეში 48 000-ზე მეტი ქინძისთავის გამზადება და ამრიგად, თუ კაცზე 48 000 ქინძისთავის ერთ მეათედს ვიანგარიშებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ერთი მუშა 4 800 ქინძისთავს დაამზადებს დღეში. თუმცა სმითი მიიჩნევდა, რომ შრომის დანაწილება ბაზრის მოცულობითაა შეზღუდული, ვინაიდან, თუ ვერ მოხდება წარმოებული პროდუქტის გასაღება, არავის ექნება სტიმული გააგრძელოს საქმიანობა. საქონლის ფასი ძირითადად სამი ნაწილისგან - შრომის ხელფასი, კაპიტალის მოგება და მიწის რენტა - შედგება, რომლებიც საჭიროა მათ საწარმოებლად და ბაზარზე მისატანად, სხვადასხვა ქვეყნისათვის ეს დანახარჯები განსხვავებულია და ერთ რომელიმე ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს აბსოლუტური უპირატესობა (როგორიცაა ნიადაგი, კლიმატი, ადგილმდებარეობა და ა.შ) კონკრეტული პროდუქტის ბაზარზე მისატანად, რაც შესაბამისად აისახება პროდუქტის ფასზე. [ადამ სმიტი, ქართული თარგმანი ფ. გოგიჩაიშვილი, თბილისი, 1938] მისი მოსაზრებით თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის პირობებში სახელმწიფოსთვის მომგებიანია არა მარტო იმ პროდუქციის გაყიდვა სხვა სხელმწიფოში, რომლის წარმოების აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია, არამედ, იმ საქონლის იმპორტირებაც, რომელთა წარმოება უფრო ძვირი უჯდება (მაგ. ნედლეულის სიმცირის გამო) ვიდრე მისი შეძენა, რა დროსაც ასევე, სახეზეა მსოფლიო წარმოების ზრდა შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე. ადამ სმითის ეს მიდგომები

ეკონომიკურ მეცნიერებაში დამკვიდრდა აბსოლუტური უპირატესობის თეორიის სახელწოდებით.

ადამ სმითის მოსაზრებებს იზიარებდა ბრიტანელი პოლიტეკონომისტი დეივიდ რიკარდო (1772-1823) [ავთანდილ სილაგაძე, თბილისი, 2010], რომელმაც აბსოლუტური უპირატესობის თეორიის საფუძველზე ჩამოაყალიბა შედარებითი უპირატესობის თეორია: თითოეულ ქვეყანას ექსპორტზე ის საქონელი გააქვს, რომლის წარმოებაზე შედარებით ნაკლები ხარჯები გაიღო, ხოლო ყიდულობს იმ საქონელს, რომლის წარმოება თავის ქვეყანაში უფრო ძვირია. მის მოსაზრებით, თუ რომელიმე ქვეყანა შედარებით მცირე დანახარჯებით აწარმოებს კონკრეტულ პროდუქტს ვიდრე სხვა ქვეყანა, მან ამ პროდუქციის წარმოებასა და საერთაშორისო ბაზარზე გატანაზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება, ქვეყნებისა და სხვადასხვა დარგების მაჩვებლებს შორის განსხვავება გამოწვეულია შრომის შედარებითი მწარმოებლურობით. შესაძლოა ერთ ქვეყანას გააჩნდეს ორი პროდუქტის წარმოების აბსოლუტური უპირატესობა, მაგრამ ამ ორს შორის ერთ-ერთის წარმოება ხდებოდეს უფრო ნაკლები დანახარჯებით და ვინაიდან, ერთი სახის პროდუქციის წარმოება უფრო მომგებიანია, ანუ სახეზეა შედარებითი უპირატესობა, უმჯობესია მოხდეს ამ სახის პროდუქტის წარმოებაზე სპეციალიზება.

ა. სმითისა და დ. რიკარდოს მიდგომები წარმოადგენენ საერთაშორისო ვაჭრობის საფუძველს, თუმცა, ვინაიდან, ისინი ძირითადად ეყრდნობიან შრომით მწარმოებლურობას (დანახარჯებს), შემდგომი პერიოდიდან ვიდრე დღემდე მრეწველობაში, ტექნოლოგიასა და საერთაშორისო ვაჭრობაში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ, ეს მიდგომები შეიცვალა. მეოცე საუკუნის დასაწყისში შვედმა მეცნიერმა ელ ჰეკშერმა ჩამოაყალიბა წარმოების ფაქტორტევადობის თეორია, რომელიც შემდგომ განავითარა ასევე შვედმა ეკონომისტმა ბერტილ ოლინმა [ავტორთა კოლექტივი (ო. გიგიაშვილი, რ. ფუტკარაძე და სხვები), თბილისი, 2011]. ჰეკშერ-ოლინის თეორიის არსი მდგომარეობს ქვეყანაში არსებული წარმოების სხვადასხვა ფაქტორის (მიწის ფაქტორი, შრომის ფაქტორი) სიჭარბის და სიმცირის თანაფარდობაში ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებთან, მაგალითად, ვინაიდან, ხორბლის წარმოებაში მნიშვნელოვანია მიწის ფაქტორი, ხოლო, ქსოვილის წარმოებაში - შრომის

ფაქტორი, კანადა, რომელიც მდიდარია მიწებით, გაიტანს მარცვლეულს და შემოიტანს ქსოვილს ინდოეთიდან, რომელიც თავის მხრივ, მდიდარია შრომითი ძალით. თუმცა შემდგომში ვასილ ლეონტიევის კვლევამ დაადასტურა, რომ მითითებული თეორია წარმოების ზოგიერთ ფაქტორთან მიმართებაში მცდარია. აღსანიშნავია ასევე: საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული თეორიები - საგარეო ვაჭრობის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება თავად მწარმოებლებს (ფირმებს) და არა ერებს შორის; ლიდერმანის ჰიპოთეზა - ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა ქვეყანაში ამაღლებს ხანგრძლივი მოხმარების (ხარისხიან, ძვირადღირებულ) საქონელზე მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, იწვევს მწარმოებლურობის ზრდას, შესაბამისად, ასეთ საქონელზე ფასების კლებას და ექსპორტზე გატანას; პროდუქტის საერთაშორისო სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზა - ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: 1. განვითარებული ქვეყნიდან ახალი პროდუქტის ექსპორტირება, 2. ამ პროდუქტის სხვა ქვეყანაში წარმოების დაწყება, 3. კონკურენცია საექსპორტო ბაზარზე, 4. იმპორტული კონკურენცია შიგა ბაზარზე; საერთაშორისო კონკურენციის თეორია და სხვა.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე - თავისუფალი ბაზრის სახით ფორმირებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ და საერთაშორისო სამართლის (სახელმწიფოთა შორის შეთანხმებები, კონვენციები საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები) განვითარებამ, რაც მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული.

როგორც ვხედავთ ისტორიის კვალდაკვალ ვაჭრობამ სახელმწიფოთა შორის საგარეო ვაჭრობის სახე მიიღო და ჩამოყალიბდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად, რომლის უშუალო მხარეებად გვევლინებიან სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტული მეწარმე სუბიექტები, ხოლო, დღევანდელი თავისუფალი ბაზრის არსებობის პირობებში, სახელწიფოთა ძირითად უფლებამოსილებას ამ ურთიერთობათა წარმოშობა-განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა და შესაბამისი ინსტიტუციონალური რეგულაციების დადგენა-განხორციელება წარმოადგენს. დღესდღეობით მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, წარმოუდგენელია ერთ რომელიმე ქვეყანას ჰქონდეს

საკუთარი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა და არ საჭიროებდეს საქონლისა (მათ შორის წარმოებისათვის პირველადი ნედლეულის) თუ მომსახურების მიღებას საგარეო ვაჭრობის გზით. თანამედროვე გლობალიზაციის, ლიბერალური ეკონომიკისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში სრული ავტარკიის[3] არსებობა შეუძლებელია. თუმცა, იშვიათ შემთხვევებში შეინიშნება წარმოების რომელიმე დარგში ავტარკიის ხელშეწყობა.

1.2 სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების ინსტიტუციონალური საფუძვლები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგარეო ვაჭრობის დღევანდელი სახით ფორმირებას ხელი შეუწყო სავაჭრო პოლიტიკის ინსტიტუციების წარმოშობამ, რომლის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როცა მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები იწყებს ჩამოყალიბებას და იქმნება საგარეო ვაჭრობის მომწესრიგებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ კუთხით განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის და ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე, რასაც ქვეყნებს შორის საგარეო სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავება მოჰყვა. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას, და ფაქტია ისიც, რომ იზრდება სარგებელი, ასევე, წარმოიქმნება პრობლემებიც. ქვეყნების საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება უშუალო კავშირშია მათი განვითარების არჩევანთან. ქვეყნებს აქვთ ორი არჩევანი, უნდა აირჩიონ ღია ან დახურულ ეკონომიკებს შორის ერთ-ერთი მიმართულება და ეს არჩევანი განაპირობებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მათ როლს. მსოფლიოს განვითარების ტემპები დაჩქარებულად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე განვითარებად ქვეყნებს საგარეო ვაჭრობზე ხელშეწყობა მართებთ. დღესდღეობით თითქმის ყველა განვითარებადი ქვეყნის ეკონომისტთა ინტერესი საგარეო ვაჭრობზე არის მიქცეული.

სავაჭრო პოლიტიკაზე ისტორიულად მოქმედი ფაქტორებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიოში ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, წარმოადგენს:

- გლობალიზაციის ტემპების დაჩქარება, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავება;
- ტექნოლოგიური მიღწევები;
- ინტეგაციულ გაერთიანებებში საზღვრების გაუქმება;
- მომსახურებისა და კაპიტალის შეზღუდვების გარეშე გადაადგილება;
- მეცნიერული მიღწევები;
- ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის შესაძლებლობა (ინტერნეტი, ტელოკომუნკაციების განვითარება, მობილური ფლაგმანების განვითარება),

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეროპის წამყვანმა ქვეყნებმა დაიწყეს ზრუნვა მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპის კონტინეტზე არსებული ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად. ქვემოთ მოყვანილია და განხილულია ის მოვლენები რომლებიც განვითარდა თავისუფალი საერთაშორისო სავაჭრო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, შექმნილი მარეგულირებელი ორგანოების ისტორია და განვითარების ეტაპები/ფუნქციები.

1945 წელს 15-მა სახელმწიფო დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინათ რეაგირება და გამოეყვანათ მსოფლიო მეორე მსოფლიო ომის ზეგავლენიდან. მათი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ მოეხდინათ მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც ხელს შეუწყობდა და გაამარტივებდა ქვეყნებს შორის საქონელ ბრუნვისა და მიმოცვლის შესაძლებლობას. 1947 წლის 30 ოქტომბერს შეთანხმება შედგა, რომელსაც ხელი მოაწერა 23-მა სახელმწიფომ, მათ შორის იყო: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა. შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილებები და დათმობები, რომელიც მოიცავდა სატარიფო დათმობებს, ძალაში შვიდა 1948 წლის იანვარში (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შთანხმება, GATT). მის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა:

- ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობდა წევრი ქვეყნიდან შემოტანილი საქონლისა და ადგილობრივი პროდუქციისათვის თანაბრუფლებიანი გარემოს შექმნას;
- საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის განვითარების დაგეგმვა;
- კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება, დავებისა გადაჭრა მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების გზით;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად სატარიფო მეთოდების გამოყენება, ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ხელშეწყობა.

GATT ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო დაედგინა წესები საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანად ფუნქციონირებისათვის, რაც გულისხმობდა იმპორტსა და ექსპორტზე ტარიფების შემცირებას ან მათ გაუქმებას. 1950 წელს აშშ-მ უარი თქვა მიეღო და განეხორციელებინა „ჰავანას ქარტიის“ რატიფიცირება. მისი არსებობის ისტორიაში ჩატარდა მრავალმხრივი მოლაპარაკებათა რაუნდები, რომლის განხილვის საგანი იყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები:

- 1947 წელი - ჟენევის რაუნდი. განხილული საკითხი - ტარიფები:
- 1947 წელი - ანესის რაუნდი. განხილული საკითხი - ტარიფები:
- 1951 წელი - ტორკუეის რაუნდი. განხილული საკითხი - ტარიფები:
- 1956 წელი - ჟენევის რაუნდი. განხილული საკითხი - ტარიფები:
- 1960-61 წლები - ჟენევის (დილონის რაუნდი) რაუნდი. განხილული საკითხი - ტარიფები;
- 1964-67 წლები - ჟენევის (კენედის რაუნდი) რაუნდი. განხილული საკითხები ტარიფები და ანტიდემპინგური ზომები;
- 1973-79 წლები - ჟენევის (ტოკიოს რაუნდი) რაუნდი. განხილული საკითხები - ტარიფები, არასატარიფო ზომები, „ჩარჩო“ შეთნხმებები;
- 1986-94 წლები - ურუგვაის რაუნდი. განხილული საკითხები - ტარიფები, არასატარიფო ზომები, მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრება, დავების გადაწყვეტა, სოფლის მეურნეობა, ვმო-ს ჩამოყალიბება და სხვა:
- 1995 წელი - დოჰას რაუნდი.

ჩამოთვლილი წლების მიხედვით კარგად ჩანს რომ 1970-იანი წლების მოლაპარაკებები ძირათადად იმართებოდა ტარიფების შემცირების ან მათი გაუქმების შესახებ. კენედის რაუნდზე მოლაპარაკებების შედეგად გდაწყვეტილებები მიიღეს საწარმოო და სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის შესახებ.

ტოკიოს რაუნდის ჩატარებისას მიღწულ იქნა შეთანხმება არასატარიფო ბარიერებისა და უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია როგორც „ტოკიოს რაუნდის შეთანხმება“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის გაერთიანებაში უკვე გაწევრიანებული იყო 102 ქვეყანა. ეს შეთანხმება მოიცავდა საქონლით ვაჭრობის შემდეგ საკითხებს:

- სუბსიდიებს;
- დემპინგს;
- სახელმწიფო შესყიდვებს;
- ტექნიკურ ბარიერებს;
- საბაჟო შეფასებებს;
- იმპორტის ლიცენზირებას;
- სამოქალაქო თვითმფრინავებს;
- რძისა და ხორცით ვაჭრობას.

ურუგვაის რაუნდის და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებისას სავალდებულო გახდა შეთანხმებათა ამოქმედება. ამ დროს იქნა მიღებული შეთანხმება საქონლით ვაჭრობის შესახებ და მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოთხოვნა გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მიღწეულ იქნა დამატებითი შეთანხმებები საბაჟო კავშირის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენარალური შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი სავაჭორო გარემოს შექმნა და პროტექციონისტული ტარიფების შემცირება. რაც წარმატებით განხორციელდა და საკმაოდ მნიშვნელოვანი ძვრები მისცა საერთაშორისო ვაჭრობას.

1994 წლის 15 აპრილში მაროკოში, ქალაქ მარაკეშში მიღწეულ იქნა შეთანხმება ვაჭრობის მსოფლიო (ვმო) ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 123 სახელმწიფო. ამასთან GATT-ის ყველა შეთანხმება, რომელიც იყო მიღწეული, გახდა ვმო-ს სამართლებრივი საფუძველი. რაზედაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ შეთანხმება მიღწეულ იქნა ურუგვაის რაუნდის დროს და ის ძალაში შევიდა

1995 წლის პირველ იანვარს. მისი მართვის შეთნხმება რომელიც იქნა მიღებული წევრი ქვეყნების მიერ მოიცავს:

- ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთნხმება (GATT);
- გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე (GATS);
- ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა (TRIPS).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გარდა საგარეო ვაჭრობაში არის ის ინსტუტიციური ერთეულები, რომლებიც ასევე არეგულირებენ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკას, ისინი ამცირებენ ან პირიქით იღებენ შეზღუდვებს სხვადასხვა სეგმენტის მიხედვით ვმო-ს წესდებასთან შესაბამისად.

ეს ორგანიზაციებია:

- ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ინგლ, Organization of the Petroleum Exporting Countries, OPEC);
- მსოფლიო სასურსათო საბჭო, (ინგლ - World Food Programme - WFP);
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ორგანიზაცია (ინგლ. Organization for Economic Co-operation and Development — OECD
- მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (World Tourism Organization (UNWTO)
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (World Customs Organization (WCO))

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია - მისი ძირითადი მიზანია წევრი ქვეყნების მიმართულებების განსაზღვრა, წევრი სახელმწიფოების ინტერესების დაცვა, საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის (ნავთობის) სტაბილური ფასების მიღწევის გზების ძიება და მათი შენარჩუნება. რათა უზრუნველყოს წევრი ქვეყნების შემოსავლების სტაბილურობა,

მსოფლიო სასურსათო საბჭო - ის იძლევა რეკომენდაციებს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის თუ როგორ მოიზიდონ საგარეო რესურსები. მის საქმიანობაში ასევე შედის: კვების პროდუქტების წარმოების განვითარება, სასურსათო მარაგების შექმნა, პრობლემების განსაზღვრა/განხილვა სასურსათე მიმართულებების შესაბამისად და რეკომენდაციების გაწევა საერთშორისო ორგანიზაციებისათვის. რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის პროცესში საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებთან.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - მის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეკომენდაციები გაუწიოს და დაეხმაროს ორგანზაციის წევრ ქვეყნებს ეკონომიკური სარგებლის მიღებაში, შეამსუბუქოს არსებული წინააღმდეგობები საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით, ეს საკითხებია:

- საერთაშორისო სავაჭრო რეგულირება;
- სავალუტო-საკრედიტო სისტემების სტაბილურობა;
- განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემები.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია - ორგანიზაციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. მოვლენებმა რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ და სტრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებამ (საჰაერო, საავტომობილო, სარკინიგზო საშუალებების განვითარება) გამოიწვია ტურისტული მიმოსვლის ტემპების ზრდა, შედეგად კი, დღის წესრიგში დადგა და აუცილებელი გახდა ამ საკითხთან დაკავშირებით მარეგულირებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბება. მის ძირითად იდეს წარმოადგენდა ტურიზმის უპირატესობების საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა. ტურიზმი დღესდღეობით ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია - შეიქმნა 1950 წელს (ამოქმედდა 1952 წ. ნოემბერში) და გაერთიანების წევრია თითქმის ყველა სახელმწიფოს საბაჟო სტრუქტურული ორგანოები. ის შეისწავლის და განიხილავს ქვეყნების თანამშრომლობასა და პრობლემებს საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის გაზიარებას საბაჟო რეგულირების კუთხით. ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს რეფორმებს საბაჟო სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებით.

საქართველოც არის ამ საერთაშორისო სავაჭრო მოვლენების მონაწილე. ჩვენი ქვეყანა ზემოთ აღნიშნული მარეგულირებელი ინსტიტუციონალური ერთეულების წესდებებს სრულად იზიარებს და ცდილობს მოახდინოს მისი შერწყმა, როგორც საგარეო, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ სავაჭრო პოლიტიკასთან. რადგან მოხდეს იმ დოვლათისა და სარგებლის მიღება, რომელიც მიიღება საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში.

თავი 2. საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა საერთაშორისო ინტეგრაციის პირობებში

2.1 საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ანალიზი

საქართველო ოდითგან იყო ჩართული საგარეო ვაჭრობაში, მისი პირველადი ჩანასახები გვხვდება ჯერ კიდევ პროტო ქართული ტომების (უცხო ტომებთან საქონელთ გაცვლა) არსებობის პერიოდში, ხოლო მოგვიანებით, ძვ. წ. მე-13 საუკუნეში მათი გაერთიანებით წარმოშობილ კოლხეთის სამეფოს კი, სადაც, იმ ეპოქისთვის შედარებით კარგად განვითარებული იყო ლითონის დნობისა და ჭედვის ხელობა, რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღები, აგროკულტურა, აქტიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან (ავტორთა კოლექტივი, ტომი I, თბილისი, 1970). ამ პერიოდიდან მოყოლებული რეგიონში შექმნილი და განვითარებული მოვლენების შესაბამისად, ხორციელდებოდა საგარეო ვაჭრობა და იცვლებოდა მისი მოცვის არეალი. საქართველოს (ქართული სამეფოების) გეოპოლიტიკურ მდებარეობას მუდმივი ომების პარალელურად, მოჰქონდა სარგებელიც - ხელს უწყობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობაში მისი როლის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ ფაქტორს უკავშირდება ასევე, გავრცელებული მოსაზრებაც საქართველოში ე.წ. „აბრეშუმის გზის“ (ტრანსკონტინენტალური დამაკავშირებელი დერეფანი) არსებობის შესახებ, აღსანიშნავია, რომ ამ მტკიცებაზე დაყრდნობით 2013 წელს ჩაეყარა საფუძველი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის „ერთი სარტყლისა და ერთი გზის“ ინიციატივას (მოგვიანებით ეწოდა „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა), რომლითაც დასახულ იქნა ძველი „აბრეშუმის გზის“ მარშრუტით შესაბამისი ინფრასტრუქტურის (სახმელეთო და საზღვაო მიმართულებით) მოწყობა-განვითარება აღმოსავლეთ-დასავლეთ სახელმწიფოების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რაც ცხადია მნიშვნელოვნად გაამარტივებს ლოჯისტიკისა და საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს, პროექტის მიზანია ასევე, შეიქმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთიანი სავაჭრო სივრცე.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ურთიერთობეს ამყარებს ახლად შექმნილ „ერთა ლიგასთნ“ და გამოთქვამს სურვილს ორგანიზაიაში გაწევრიანებაზე. 1920 წლისათვის საქართველო ემზადებოდა ორგანიზაციის პირველი სესიაზე მონაწილეობისათვის, რათა გაწევრიანებისთვის წევრი ქვეყნებისგან საჭირო ხმათა რაოდენობა მოეპოვებინა, მაგრამ სამწუხაროდ წევრთა უმეტესობამ უარი განაცხადა.

საქართველო, საბჭოთა რუსეთის მიერ იძულებითი ანექსიისა და საბჭოთა კავშირის (სსრკ) შემადგენლობაში არსებობის მანძილზე, წარმოადგენდა ერთ-ერთი მნიშვნელოვან რესპუბლიკას, მისი ეკონომიკა სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა. ამ დროისათვის ქვეყანაში იწარმოებოდა სხვადასხვა სახის პროდუქცია, როგორიცაა: საკვები პროდუქტები, ნახშირი, ფოლადი, სატვირთო ავტომობილები და სხვა. სსრკს ბაზარზე ქართული წარმოების ძირითად წილს წარმოადგენდა: 1.ჩაი; 2. ციტრუსი; 3. მანგანუმი

1990-იან წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკა განადგურდა, ქვეყანა სრულად ჩაეფლო ჭაობში, რომლისგან თავის დასაღწევად საკმაოდ რთული და მძიმე გზა განვლო. ამ პერიოდისთვის საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი დაახლოვებით 2000 $-მდე შემცირდა ოფიციალური მონაცემებით (რაც 61%-ის ტოლი იყო).

ცხრილი 1

საშუალო წლიური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე
აშშ, დოლარი



წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

რთულია იმ მოვლენების სრული ჩამოთვლა (სამოქალაქო ომი, კორუფცია, კრიმინალი, ინფლაცია და სხვა), რაც შეიძლება დავასახელოთ მაშინ არსებული შედეგის ძირითად გამომწვევ მიზეზად, რამაც ქვეყნის სავაჭრო/ეკონომიკური სიტუაცია ფაქტიურად გაანადგურა.

ქართულ ბაზარზე ახალი ვალუტის (ლარი) გამოჩენამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებას და ინფლაციის შემცირებას ქვეყანაში. 1997 წელს ქვეყანა ერთვება საგარეო სავაჭრო პროცესებში, იზრდება ექსპორტი. 1997-2000 წლებში ინვესტიციებისა და ექსპორტის რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა მოცემულია N2 ცხრილში. ასევე, ქვეყანაში დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რომელთა ჯამური რაოდენობა 1997 წლისთვის შეადგენდა 242.6 მილიონ აშშ დოლარს.

ცხრილი 2

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მლნ. აშშ დოლარი



	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
ინვესტიციები	242,6	265,3	82,2	131,2	109,8	160,2	334,5
ექსპორტი	244,2	191,3	238,0	323,9	317,1	345,7	461,3

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

N2 ცხრილის თანახმად, 1997-2003 წლებში ეკონომიკური პარამეტრების (ექსპორტი, უცხოური ინვესტიცია) დინამიკის საშუალო მაჩვნებელი უმნიშვნელოდ ზრდადია. გარდამტეხი ძვრებისთვის ქვეყანა საჭიროებდა ეკონომიკური რეფორმების

გატარებას და საერთაშორისო პროცესებში აქტიურ მონაწილეობას. საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გართულების შემდეგ, ქვეყანა იწყებს ახალი გასაღების ბაზრების ძიებას და ცდილობს მის გაფართოებას, რათა არ იყოს დამოკიდებული ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარზე. 2004-2007 წლების მონაკვეთში ქვეყანაში საგრძნობლად მატულობს ეკონომიკური ზრდის ტემპი და 2007 წლისთვის ფიქსირდება 12.6%-იანი ზრდა. ასევე, იზრდება უცხოური ინვესტიციებიც, რასაც ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის. 2007 წელს საქართველოს ისტორიაში ფიქსირდება ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებელი 1,764.7 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით.

დიაგრამა 1

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2009-2019 წლებში, ათასი აშშ დოლარი



	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი	1 133	1 677	2 186	2 376	2 910	2 861	2 204	2 113	2 735	3 355	3 764
იმპორტი	4 475	5 235	7 072	8 056	8 022	8 601	7 300	7 293	7 943	9 136	9 097
სალდო	-3 342	-3 558	-4 885	-5 679	-5 112	-5 740	-5 095	-5 180	-5 207	-5 780	-5 333

ექსპორტი იმპორტი სალდო

წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ბოლო რამოდენიმე წლის სტატისტიკური მონაცემები საქართველოს საგარო ვაჭრობის ჭრილში, კერძოდ:

- ექსპორტი;
- იმპორტი.

არსებული მონაცემები გვიჩვენებს საქართველოს სავაჭრო ბრუნვას წლების მიხედვით. როგრც ცხრილიდან ჩანს, 2009-წლიდან ექსპორტის დინამიკა ზრდადია,

2019 წელს აღწევს თავის ისტორიულ ნიშნულს და 3.3-ჯერ მეტია საწყისი წლის მონაცემთან შედარებით. თუმცა ექსპორტის ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად იზრდება იმპორტირებული საქონლის რაოდენობა და თითქმის ყოველწლიურად საშუალოდ 3-ჯერ აღემატება ექსპორტს. ცხრილზე თვალნათლივ ჩანს, რომ უარყოფითი სავაჭრო სალდო 2009-დან 2012-მდე მკვეთრად იზრდება (იხ. დიაგრამა N3) და შემდეგ ინარჩუნებს საშუალო ნიშნულს - 5.5 მილიარდი აშშ დოლარის ფარგლებში.

დიაგრამა 2

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის ექსპორტის მიხედვით ათასი აშშ დოლარი



	რუსეთი	აზერბაიჯანი	სომხეთი	ბულგარეთი	უკრაინა	თურქეთი	რუმინეთი	ჩინეთი	აშშ	უზბეკეთი
ექსპორთი 2018	436 646	502 042	278 689	258 866	175 044	233 497	57 829,	198 034	159 971	80 487,
ექსპორტი 2019	497 153	497 689	412 392	284 106	244 993	202 352	177 962	227 629	131 838	89 108,

წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

2019 წლის საექსპერტო მონაცემების მიხედვით უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 72 % შეადგენა. რომელთაგან სამი უმსხვილესი პარტნიორია:

1. პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი - 497,689 მლნ აშშ დოლარი;
2. მეორე ადგილზეა რუსეთი - 497,153 მლნ აშშ დოლარი;

3. მესამე ადგილზეა სომხეთი - 412,392 მლნ აშშ დოლარი;

2018 წლის მონაცემებთან შედარებით 2019 წელს სომხეთში გატანილი საექსპორტო პროდუქცია 133,526 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ანალოგიურად ექსპორტის ზრდა შეიმჩნევა რუსეთის ბაზარზეც, სადაც 60,507 მლნ აშშ დოლარით მეტი საექსპორტო პროდუქცია იქნა გატანილი 2019 წელს. ხოლო, აზერბაიჯანი მიუხედავად იმისა, რომ პირველ პოზიციას იკავებს უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორ ქვეყნებს შორის, 2019 წელს 4,650 მლნ აშშ დოლარით შემცირდა საქონლის ექსპორტი. ამ სამ ქვეყანაში ექსპორტირებული პროდუქციის წილი მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 37.5 % შეადგენს.

ექსპორტის მოცულობა 2019 წელს (3,764,168.0 ათასი აშშ დოლარი) 2018 წელთან (3,355,712.2 ათასი აშშ დოლარი) შედარებით გაიზარდა 408,455.8 მლნ აშშ დოლარით.

დიაგრამა 3

<u>ექსპორტი საქონლის დასახელების მიხედვით</u>



წყარო: შედგენილია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემების მიხედვით

შეგვიძლია გამოვყოთ სამი უმსხვილესი საქონლის ექსპორტის ჯგუფი 2019/9 წელს:

1. სპილენძის მადნების ექსპორტი - 476.4 მლნ აშშ დოლარი. 17.5% წილით;
2. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი - 454.3 მლნ. აშშ დოლარი. 16.7% წილით;
3. ფეროშენადნობები - 240 მლნ აშშ დოლარი. 8.8% წილით;

2019/9 წელს ზრდა გამოიწვია შემდეგი პროდუქციის ექსპორტმა 2018/9 წლის პერიოდთან შედარებით:

- ღვინო - 152.1 მლნ აშშ დოლარი. 9.5%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 13.3 მლნ აშშ დოლარით მეტი;
- მინერალური წყლები - 97.8 მლნ. აშშ დოლარი. 32 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 18.2 მლნ დოლარით მეტი;
- ხილი - 17.4 მლნ. აშშ დოლარი. 74%-ით გაიზარდა და შეადგინა 7.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი 2018 წლის ამავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით;
- სპილენძის მადნები - 476.4 მლნ. აშშ დოლარი. 27%-ით გაიზარდა და შეადგინა 101.1 მლნ. აშშ დოლარი;
- სამკურნალო საშუალებები - 141.9 მლნ. აშშ დოლარი. 40%-ით გაიზარდა და შეადგინა 40.6 მლნ. აშშ დოლარი;
- ორთოპედიული სამარჯვები - 12.3 მლნ. აშშ დოლარი. 146%-ით მეტი და შეადგინა 7.3 მლნ. აშშ დოლარი;
- მსუბუქი ავტომობილები - 454.2 მლნ. აშშ დოლარი. 62%-ით მეტი და შეადგინა 175.4 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა (ექსპორტი/რეექსპორტი);
- სატვირთო ავტომობილები - 28.5 მლნ. აშშ დოლარი. 58.3%-ით გაიზარდა და შეადგინა 10.5 მლნ. აშშ დოლარი;

ხოლო 2019/9 წელს ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე, 2018/9 წლების პერიოდთან შედარებით:

- მსხვილი რქოსანი პირუტყვი - 16.5 მლნ. აშშ დოლარი. 23%-ით შემცირდა და შეადგინა 5 მლნ. აშშ დოლარი;
- ცხვრის ხორცი - 12.2 მლნ. აშშ დოლარი. 52%-ით შემცირდა და შეადგინა 13.3 მლნ. აშშ დოლარი;
- თევზის ცხიმი - 3.5 მლნ. აშშ დოლარი. 69%-ით ნაკლები და შეადგინა 7.6 მლნ. აშშ დოლარი;
- თხილი - 32.3 მლნ. აშშ დოლარი. 34.7% შემცირდა და შეადგინა 17.2 მლნ. აშშ დ;
- ხილ-ბოსტნეულის კონსერვანტები - 6.5 მლნ. აშშ დოლარი. 9.7%-ით ნაკლები და შეადგინა 0.7 მლნ. აშშ დოლარი;

- სპირტიანი სასმელები - 79.6 მლნ. აშშ დოლარი. 17%-ით ნაკლები და შეადგინა 16.4 მლნ. აშშ დოლარი;
- თამბაქოს მზა ნაწარმი - 43.3 მლნ. აშშ დოლარი. 47%-ით ნაკლები, შეადგინა 38.7 მლნ. აშშ დოლარი;
- უალკოჰოლო სასმელები - 21.4 მლნ. აშშ დოლარი. 7%-ით შემცირდა, შეადგინა 1.6 მლნ. აშშ დოლარი;
- ფეროშენადნობები - 240 მლნ. აშშ დოლარი. 13.2%-ით შემცირდა, 31.8 მლნ. აშშ დ;
- ნავთობი და ნავთობ პროდუქტები - 13 მლნ. აშშ დოლარი. 73%-ით ნაკლები, შეადგინა 29 მლნ. აშშ დოლარი. რეექსპორტმა მთლიან ექსპორტში შეადგინა 57%;

არსებული მონაცემები აღებულია ეკონომიკის სამინიტროს მიერ ჩატარებული საგარეო ვაჭრობის ანალიზზე დაყრდნობით. რომელიც გვიჩვენებს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებსა და ძირითად საექსპორტო პროდუქციას.

დიაგრამა 4

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის იმპორტის მიხედვით ათასი აშშ დოლარი



წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს შეგვიძლია გამოვყოთ, სამი უმსხვილესი საქონლის იმპორტიორი ქვეყანა საქართველოში:

I. თურქეთი - საიდანაც განხრციელდა 1,614,1 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი;
II. რუსეთი - საიდანაც განხრციელდა 976,079 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი;
III. ჩინეთი - საიდანაც განხრციელდა 858,503 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტი;

ცხრილზე მოცემული ქვეყნებიდან, 2019 წელს 2018 წელთან შედარებით საქართველოში პროდუქციის იმპორტი შემცირდა:

- აზერბაიჯანიდან - 36,583 ათასი აშშ დოლარით;
- უკრაინიდან - 99,257 ათასი აშშ დოლარით;
- სომხეთიდან - 67,857 ათასი აშშ დოლარით;
- იტალიიდან - 4,985 ათასი აშშ დოლარით;

2019 წელს (იმპორტი შეადგენდა 9,097,540.2 ათას აშშ დოლარს) 2018 წელთან (იმპორტი შეადგენდა 9,136,458.8 ათასი აშშ დოლარს) შედარებით საერთო ჯამში იმპორტი შემცირდა 38,918.6 ათასი აშშ დოლარით.

დიაგრამა 5

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში 2019 წლის იანვარი-სექტემბერი



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემების მიხედვით

დიაგრამის მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ სამი მსხვილი სასაქონლო ჯგუფი საბაზრო პოზიციების შესაბამისად:

I. ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 543.2 მლნ. აშშ დოლარი;

II. მსუბუქი ავტომობილები - 483.2 მლნ. აშშ დოლარი;

III. სპილენძის მადანი - 412.4 მლნ აშშ დოლარი;

შემცირდა შემდეგი საქონლის იმპორტი:

- თამბაქოს ნაწარმი - 57.6 მლნ. აშშ დოლარი. 47%-ით შემცირდა, 51.5 მლნ. აშშ დოლარი.
- ხორბალი - 60.7 მლნ. აშშ დოლარი. 15%-ით შემცირდა;
- მცენარეული ზეთები - 22.4 მლნ. აშშ დოლარი. 14%-ით ნაკლები ;
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 474 მლნ. აშშ დოლარი. 102 მლნ. დოლარით შემცირდა;
- არმატურა - 28.8 მლნ. აშშ დოლარი. 21.9 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა;

იმპორტი გაიზარდა:

- მსუბუქი ავტომობილები - 423 მლნ. აშშ დოლარი. 4%-ით მეტი - 17 მლნ. აშშ დოლარით;
- სპილენძის მადნები - 412.4 მლნ. აშშ დოლარი. 39%-ით და 116.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი;
- ცემენტი და კლინერი - 27.6 მლნ. აშშ დოლარი. 14%-ით და 3.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი;

არსებული მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს მიერ ჩატარებული საგარეო ვაჭრობის ანალიზზე დაყრდნობით. რომელიც გვიჩვენებს ძირითად სავაჭრო პარტიორ ქვეყნებსა და იმპორტირებული პროდუქციას რაოდენობას მიხედვით.

მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პირობებში საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობის განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყანის ეკონომიკის გაძლიერებისათვის. მიუხედავად იმ უარყოფითი სალოდოს არსებობისა, რომელიც არსებობს ექსპორტსა და იმპორტს შორის, ბოლო მონაცემების ტენდენციის შენარჩუნება გვისახავს იმედს, რომ არსებული სიტუაციის გამოსწორება შესაძლებელია თუ შევინარჩუნებთ ექსპორტის ზრდის ტემპს. ასევე, თუ ქვეყანა შეძლებს იმპორტის ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებას შიდა ბაზრისთვის.

2.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები;

საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორები საკმაოდ ბევრია, მაგრამ შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი ელემენტები რომლებიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე, ქვეყნის გარეთ ვაჭრობის პოლიტიკაზე:

- ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური მდგომარეობა;
- ოკუპირებული ტერიტორიები;
- პოლიტიკური ვითარება კავკასიის რეგიონში;
- მსოფლიოში არსებული ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ქმინიან საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკურ მიდგომებს (მსოფ. სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფ. საბაჟო ორგანიზაცია და ა.შ.)
- მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი);
- ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება ევროკავშირთან (DCFTA)
- ჩინეთთან დადებული სავაჭრო შეთანხმება;

ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური მდგომარეობა - რომლის არამდგრადობა გამოიწვეს საერთაშორისო არენაზე უარყოფით ზეგავლენას. პოლიტიკური არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით, ქმნის არახელსაყრელ საინვესტიციო გარემოს და ერთგვარ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ინვესტორებში, ხელს უშლის სავაჭრო ურთიერთობების წარმოშობა-გაღრმავებას, აჩერებს მრეწველობას და ა.შ, რაც შესაბამისად აუარესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ოკუპირებული ტერიტორიები - რომელიც ანალოგიურ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო სავაჭრო ურთიერთობებზე. უარყოფით დამოკიდებულებას უყალიბებს პარტნიორ ქვეყნებს, არსებული რისკებიდან და საფრთხეებიდან გამომდინარე, რომლის ზეგავლენა პირდაპირ პროპორციულად აისახება ბიზნესის განვითარებაზე.

პოლიტიკური ვითარება კავკასიის რეგიონში - მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე აისახება ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე, მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთის ქმედებები ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში. რომლის საოკუპაციო ქმდებებმა, ასევე, მის

მიერ საქართველოსთან საზღვრების ჩაკეტვამ და ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებამ, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე ჰპოვა პირდაპირი ასახვა - ქვეყანამ დაკარგა უმსხვილესი ბაზარი.

მსოფლიოში არსებული ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკურ მიდგომებს (მსოფ. სავაჭრო ორგანიზაცია, მსოფ. საბაჟო როგანიზაცია და ა.შ.) - აქ შეიძლება ავღნიშნოთ ის დადებითი ზეგავლენა, რომელიც მიიღწევა საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობებით სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის, ვაჭრობის გამარტივების მიმართულებით, ორგანიზაციების წევრ სახელმწიფოებში არსებული შეზღუდვების სრული გაუქმებით ან შემცირებით, რაც თავისთვად ამარტივებს საქონელთ მიმოცვლასა და მომსახურებით ვაჭრობას.

მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) - მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ერთ-ერთი არასაიმედო სავაჭრო პარტიორი ქვეყანაა და ცნობილია მისი ხელისუფლების არასტაბილური, უარყოფითი დამოკიდებულებები ჩვენი ქვეყანის მიმართ, რაც ნათლად ჩანს ოკუპირებული ტერიტორიების ფონზე, საქ. სტატის მონაცემების მიხედვით, იგი მაინც რჩება საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად ექსპორტსა თუ იმპორტში და მისი ბაზარი საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის გასაღების კუთხით. შესაბამისად, რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობის ცვლილება ასახვას ჰპოვებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. ასევე, ანალოგიურად ზეგავლენას ახდეს აზერბაიჯანის, თურქეთის და სომხეთის ეკონომიკური მდგომარება საქართველოს ეკონომიკაზე, თუმცა, ამ შეთხვევაში საქმე გვაქვს კეთილ მეზობლურ ურთიერთობებთან, რომლებიც დადებით ზეგავლენას ახდენენ რეგიონში არსებულ ვითარებაზე. ეს ის ქვეყნებია რომლებიც უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ათეულში არიან.

ცალკე აღსანიშნავია აზერბაიჯანთან არსებულ ურთიერთობები, იმ გლობარული პროექტებიდან გამომდინარე, რომლებსაც ერთობლივი ძალისხმევით ახორციელებს ეს ორი ქვეყანა ენერგეტიკული მიმართულებით.

ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება ევროკავშირთან (DCFTA) - 2009 წელს დაიწყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლის მომცველი

შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესები. რომელიც მოიცავს რეკომენდაციების ერთობლიობას, რეფორმების გასატარებლად. გამოიყო რამოდენიმე პრიორიტეტული მიმართულება: ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და კონკურენცია.

არსებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სამოქმედო გეგმა, მოლაპარაკებები განახლდა 2011 წელს და დასრულად 2013 წელს. 2014 წელს კი, ხელი მოეწერა ღრმა და ყოვლისმომცველ შთანხმებას. რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მოახდინა.

ევროკავშირთან დადებული შეთანხმება არის იმ რეკომენდაციებისა და მოთხოვნების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს რეფორმებისა და საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებას სხვადასხვა სფეროებში, რაც დაახლოვებს და შესაბამისობაში მოიყვანს ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობასა და სხვა მარეგულირებელი წესების ერთობლიობას. აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქცია სრულად შეესაბამებოდეს იმ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რომლებიც გააჩნია ევროკავშირის ქვეყნებს და შესაძლებლობას მისცემს საქართველოს გატანილ იქნას ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე, ყოველგვარი ბარიერების გარეშე.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს მეოთხე კარი, რომელიც მოიცავს ვაჭრობას, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს, რაც გულისხმობს საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, საქართველოს კი, აძლევს შესაძლებლობას წარმოებული პროდუქცია გაიტანოს ევროპის ბაზრებზე.

ღრმა და ყოვლისმოცველი შეთანხმება მოიცავს შემდეგ თავებს:

- საქონლით ვაჭრობა;
- ვაჭრობაში დაცვის ზომები;
- ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება;

- სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები;
- საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა;
- დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია;
- მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
- საჯარო შესყიდვები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
- კონკურენცია;
- ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში;
- გამჭვირვალობა;
- ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
- დავების მოგვარება;
- დაახლოვების ზოგადი დებულება;

საერთო ჯამში თითოეული მათგანი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, როგორც შიდა ბაზარზე, ასევე, საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ მეოთხე კარი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც მხარეს არ აქვთ უფლება დაწესონ გადასახადები საქონლის ექსპორტზე, მაგრამ შეუძლიათ ჰქონდეთ გარკვეული გადასახადი საქონლის იმპორტზე. ის მიზნად ისახავს ორმხრივი ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებასა და საბაჟო გადასახადების შემცირებას ან სრულ გაუქმებას (ლიბერალიზაციას). ორმხრივი შეთანხმების და მისი ამოქმედების შემდეგ ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქონლით ვაჭრობისას იმპორტზე გადასახადი გაუქმდება. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ გვერდი: http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7, თვისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან (http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement) (http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98.pdf).

ჩინეთთან დადებული სავაჭრო შეთანხმება - ჩინეთთან თვისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთნხმებას ხელი მოეწერა 2017 წლის 13 მაისს და ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს. მოლაპარაკებების წარმოება კი დაიწყო 2015 წელს. ის მიზნად ისახავდა

საქონლის და მომსახურების თვისუფალ მიმოცვლას, ყოველგვარი ბარიკადების გარეშე. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ქართული პროდუქციის ჩინეთში ექსპორტისას პროდუქციის თითქმის 94 პროცენტი განთავისუფლდა საბაჟო გადასახადებისგან, მათ შორის ღვინო, თაფლი, უალკოჰოლო სასმელები, წყალი და ა.შ. ჩინეთი კი, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ათეულშია (თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის (http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/tavisufali_vachrobis_shetanxmeba_georgia_china/shetankhmeba_2018/1_china_georgia_fta_geo.pdf)).

ზემოთ მოყვანილი ფაქტორები ერთობლივად ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ეს ფაქტორები თავისი გავლენის მიხედვით არის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი (მაგ. ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა და სხვა). საერთო ჯამში კი, ის დასავლური მიმართულება რომელიც დღეს ჩვენს ქვეყნისთვის პრიორიტეტულია, ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ქვეყნაში წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას. ლიბერალური სავაჭრო მიდგომების გამოყენება ხელს შეუწყობს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ნაწილობრივ შემცირებას. რაც ერთმნიშვნელოვნად განავითარებს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

2.3 სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმები.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების მექანიზმები ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და სახელმწიფოს მხრიდან, თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის დამყარების მისწრაფების შესაბამისად, მაქსიმალურად ლიბერალური რეჟიმები ამოქმედდა, რაც გამოიხატება დაბალ საიმპორტო ტარიფებსა

და არასატირფო რეგულაციებში, სახელმწიფო ნაკლებად ერევა საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს კერძო პირთა შორის საქონელ ბრუნვისა თუ მომსახურების მიწოდების მიმოცვლაში. საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი წესები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც შიდა საკანომდებლო და კანნონქვემდებარე ნორმტიული აქტების გარდა მოიცავს ასევე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ვაჭრობა არის საუკეთესო საშუალება ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის, სახელმწიფოები მაინც იყენებენ სხვადასხვა შეზღუდვებს, როგორიცაა ტარიფები, კვოტა და არასატარიფო შეზღუდვები, რაც გამოწვეულია სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკის მიდგომებით.

საქართველოში მოქმედი მექანიზმებია (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12):

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation) - იქედან გამომდინარე, რომ საქართველო არის ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი, ის წევრ ქვეყნებთან მოქმედებს არსებული შეთანხმების საფუძველზე;
- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences GSP) - შეთანხმების ძირითად მიზანს წარმოადგენს საიმპორტო ტარიფების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს განვითარებადი ქვეყნებიდან საქონლის ექსპორტს განვითარებული ქვეყნების ბაზარზე;

  საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია და კანადა.
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი - რომელიც გულისხმობს შეთანხმების მონაწილეებს შორის ვაჭრობის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას, გარდა გარკვეული გამონკლისებისა.

  საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA)

რაც შეეხება მხრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორც უკვე აღინიშნა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება, დსთ-ს წევრ ქვეყნებთან მოქმედებს "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმება, ასევე ამავე ქვეყნებთან გაფორმებულია ორმხრივი შეთანხმებები, თუმცა რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ითვალისწინებს გამონაკლისებს, კერძოდ, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას, როგორიცაა: რუსეთთან - თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან სატარიფო ამოღება თეთრ შაქარზე, სიგარებზე და სხვა; თურქეთის საიმპორტო კვოტები - ნატურალურ თაფლზე, რძის ნაწარმზე, ზოგიერთ ხილზე და ა.შ. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12)

საქართველოს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე. 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე. საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. ასევე, აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. სატარიფო პოლიტიკა კი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

არასატარიფო შეზღუდვები, როგორიცაა ლიცენზიები და ნებართვები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული საგარეო ვაჭრობაში, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, კერძოდ (საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, matsne.gov.ge):

- ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების ექსპორტ-იმპორტის ლიცენზია (შინაგან საქმეთა სამინისტრო);
- შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (გარემოს დაცვის სამინისტრო);
- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქ-ტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღი-სეულის), ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო);
- იარაღისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის ნებართვა (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო);
- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - კანონი, ნუსხა, გაცემის წესი);
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა (საქართველოს შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- არაიოდიზირებული მარილის იმპორტის ნებართვა (საქართველოს შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);
- ”გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა (გარემოს დაცვის სამინისტრო).

აკრძალულია კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან ექსპორტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით (საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ, matsne.gov.ge).

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს გაიცემა წარმოშობის სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად (matsne.gov.ge).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 27-ე თავით განისაზღვრება სააქციზო პროდუქცია და სააქციზო განაკვეთები, ხოლო, 28-ე თავში გაწერილია საიმპორტო პროდუქციის დასაბეგრი ობიექტები, საიმპორტო გადასახადები, განაკვეთი და ის პროდუქცია რომელიც გათავისუფლებულია საიმპორტო გადასახადისგან, ასევე, იმპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა რეგულაციები (matsne.gov.ge).

საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ განისაზღვრება სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი ფორმები და დგინდება მათი საქმიანობის მარეგულირებელი წესები, კანონით აღიარებულია თანაბარი არადისკრიმინაციული მიდგომები საქართველოს მეწარმთა და უცხოელ მეწარმეთა მიმართ.

საქართველოს კანონი ლიცენზიებისსა და ნებართვების შესახებ - განსაზღვრავს იმ საქმიანობების, პროდუქციის (წარმოების/მოძრაობის) ნუსხას, მათ შორის საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციაზე, რომლებიც საჭიროებს ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემას და არეგულირებს ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის/გაუქმებისა და მაში ცვლილების შეტანის წესებს.

პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი - მოთხოვნები პროდუქციის ეტიკეტირების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის აუცილებელ, უტყუარი საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ასევე შეეხება იმპორტირებულ პროდუქციასაც. რომელიც გაწერილია მოთხოვნებს პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ დაასევე მოიცავს მოთხოვნებს შფუთვის, ნიშანდების და პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით. საქონლის წარმოებისთვის ადგენს მეთოდებს, წესებს და ზოგად პრინციპებს.

კანონი სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ საქართველოში - მოიცავს სამართლებრივ ურთიერთობებს, გასცემს სამართლებრივ გარანტიებს სასაწონლო ბირჟებსა და სასაქონლო საბირჟო ვაჭრობასთან დაკავშირებით.

შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ კანონი - რომელიც შეხება

ექსპორტსა და იმპორტს კონტროლს ისეთი პროდუქციაზე როგორიცაა: შეიარაღებას, სახედრო ტექნიკას, მოწყობილობებს, ტექნოლოგიებს, ნედლეულსა და სამეცნიერო ტექნიკურ ინფორმაციას და მათ წარმოება-გამოყენაბასთან დაკავსირებულ წესებს.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების შექმნასთან, მათ გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ ქონებრივი და პირად არაქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება საკანონმდებლო აქტებით:

- საქართველოს საპატენტო კანონი, კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ;
- კანონი საქონლის ადგილწარ-მოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ;
- კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ;
- კანონი ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ;

საქართველოს მთავრობის დადგენილება #420 - განსაზღვრავს კრიტერიუმების ერთობლიობას საქონლის წარმოშობის დამადასტურებელ სერთიფიკატის ფორმებს, შვსების და გაცემის წესებს.

აღსანიშნავია ასევე, ის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკაზე. იმ რეგულაციებისა და წესების ჩამოყალიბებაში, რომელებიც ქმნიან საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიდგომებს. ეს შთანხმებებია:

- მსო-ს შეთანხმებები. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT);
- გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS);
- ინტელექტურალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავ-შირებული ასპექტების შესახებ (TRIPS);
- ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT);
- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS);

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სავაჭრო პოლიტიკით ცდილობს ექსპორტის წახალისებას და განვითარებას, არსებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს იმ უარყოფით ბალანსს რომელიც არის ექსპორტსა და იმპორტს შორის.

თავი 3. საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პრიორიტეტები

3.1 საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და მისი განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებები

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა მიდგომებისა და მოდელების განხილვა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. 1990-იან წლებიდან მოყოლებული ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა ვითარდებოდა საკმაოდ მძიმედ და მტკივნეულად, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, სახელისუფლებო ძალთა დაპირისპირებით და ხელისუფლების არა საკმარისი გამოცდილებით სოციალურ-ეკონომიკურ მმართველობასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ მას შემდეგ რაც საქართველომ აირჩია ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კურსი, გახდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, გააფორმა სხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, თანდათანობით მოხერხდა ქვეყნის ეკონომიკის ჭაობიდან ამოსაყვანად გზების მოძიება, ევროკავშირისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეკომენდაციების შედეგად მნიშვნელოვნად დაიხვეწა და განვითარდა სავაჭრო პოლიტიკის მარეგულირებელი ინსტიტუციები.

საქართველომ მიზნად დაისახა ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება, კერძოდ ხელისუფლებამ დაიწყო უკვე არსებულ ბაზრებზე ექსპორტისთვის პირობების გაუმჯობესება, ახალი ბაზრების მოძიება და ამ ბაზრებზე შეღწევა, შიდა წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარინობის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ

პროდუქციას გავიდეს ისეთ ბაზრებზე როგორიცა: ევროკაშირის, აშშ-ს, ჩინეთის და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრები.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე და განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს პარტიორ სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებას და შეთანხმებაში გაწერილი ვალდებულებების შესრულებას და საქართველოს მისწრაფება გაწევრიანდეს ევროკავშირში ქმნის ეკონომიკური მიდგომის ახალ მოდელს, ის კურსი რაც დღეს საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია - მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნება - უდავოდ შეუწყობს ხელს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სწორედ ბოლო დროინდელი სახელმწიფო ინიციატივები რომლებიც მიმართულია აგრარული სფეროს განვითარებისთვის, ხელს შეუწყობს საექსპორტო პროდუქციის წარმოებას და მის გატანას საზღვრებს გარეთ უცხო ქვეყნების ბაზრებზე. ცხარდია, რომ საექსპორტო პროდუქციის ზრდა იქნება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველი. ცხადია ისიც რომ, ქვეყანამ გადადგა ბევრი დადებითი ნაბიჯები ვაჭრობის ლიბერალიზაციისთვის და განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებებიც, გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, მთვრობის მიერ ხელი მოეწერა ორმხროვ და მრავალმხრივ შეთანხმებებს აშშ-თან, ჩინეთთან, ევროკავშირთან, კანადასთან და სხვა. მაგრამ როგორც უკვე ავღნიშნეთ მეორე თავში რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რომელიც ერთგვარ ბარიერად არის ქცეული და ის ფაქტი, რომ რუსეთი საკმაოდ დიდ ბაზარს წარმოადგენს ჩვენთვის, გვევლინება უარყოფით, შემაფერხებელ ფაქტორად, ამ ყველაფრმა კი ქვეყანას უბიძგა მოეძებნა საიმედო სავაჭრო პარტიორები და გასულიყო ახალ ბაზრებზე,

საქართველოში დღესდღეობით გამომყოფილია ისეთი პრიორიტეტული დარეგები, რომლებშიც სახელმწიფო ცდილიობს დაეხმაროს და შეუქმნას პირობები, რომ შესაძლებალი გახდეს მათი კონკურტუნარიანობის ამაღლების გაზრდა. კონკრეტულად შემდეგი სფეროებია:

- სოფლის მეურნეობა საქართველოში;
- ტურიზმის სექტორში;
- მრეწველობის განვითრება;
- საბანკო სექტორის განვითარება;
- განათლების დონის ამაღლება;
- ტრანსპორტი;
- ენერგეტიკა;

სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობისათვის ერთ-რთ პრიორიტეტული მიმართულება, რადგან ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი სოფლად ცხოვრობს და მოსახლების ტითქმის ნახევარი სიღარიბეს ებრძვის. ამავდროულად 2016 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 42,5 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და მათი უმეტესი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობასი: თევზჭერის, ნადირობის, მეტყევეობის მიმარტულებით. 2016 წლის მონაცემებით მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი საქართველოში 9 პროცენტია.

მას შემდეგ რაც სახელმწიფომ დაიწყო პროექტები (აგროდაზღვეის პროგრამა, აგროკრედიტი, ჩაის პლანტაციების განახლების პროექტი, „დანერგე მომავალი“ და სხვა.)(წყარო სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო) სოფლი მეუნეობის ასამაღლებდა, გაიზარდა სოფლის მეურნეობსი მწარმოებლურობის შესაძლებლობები და ხელი შეუწყო გარკვეულწილად სოფელსი მაცხოვრებლების შენარჩუნებას, ასევე ხარისხიანი პროდუქციის შექმნასა და სასოფლო სამეურნეუ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას რომელიც გლეხ უადვილებს მიწის დამუშავების პროცესს. 2006 წლის 25 ივლის მიღებულ იქნა კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოში ბიოწარმოების რეგულირება. ბიოწარმოებით დაინტერესება გამოწვეულია ჯანსაღი პროდუქიციის მიღების მიზნით, რომლის ინტერესეი მსოფლიოშიც მაღალია და ერთ ერთი მოთხოვნადია მაღალი ფასის მიუხედავად.

ტურიზმის სექტორი როგორც ერთ-ერთი ყველა სწრაფად მზარია სფეროა საქართველოში. 2016 წლი მონაცემებით მოგზაურთა რაოდენობა საქართველოსი 6 მინიონს გადააჭრბა და რეკორდულ მაცვენებელი დაფიქსირდა. ტურიზმი საკმაოდ

მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნი ეკონომიკური ზრდისათვის, ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი ეროვნულ დონეზეც, ქვეყნის იმიჯიში შექმნასა და განვითარებისათვის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობისათვის.

მრეწველობის განვითარება - მრეწველობის განვითარება პირდაპირ ჯაჭვურ რეაქციასი შედის ზემოთა ღნიშნულ საკითხებთან (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი.) მრეწველობის დარგში ინფრასტრუქტურის განვითარება, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფოს ერტ -ერთი პრიორიტეტულია, რადგან დღეს დღეობისთ საქართველოში სირტულეებს უკავშირდება კვალიფიციური კადრების მოძიება და ინოვაციური ტექნოლოგიები. მრეწველობოს საქართველოს მთლიან სიდა პროდუქტის 11 პროცენტს შეადგენ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემბი). მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სახელმწიფო ცდილობს ლიბერალურად მიდგეს არსებულ საკითხს და მისი ხელშეწყობის გახადოს კონკურენტუნარიანი.

საბანკო სექტორის განვითარება - არსებულ სფეროში მომხმარებელთა უფკებების დაცვა საქართველოს ეროვული ბანკის პრიორიტეტს წარმოადგენს. ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით ევორბნულმა ბანკმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა კანონმდებლობის კუთხით. კონკრეთულად: #151/04 ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან მომხმარებლებისათვის მომსახურების განხორციელება უფლებების დაცვით წესების დამტკიცების შესახე, რომელიც მიღებულ იქნა საქ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით.

განათლების დონის ამაღლება - განათლების დონის ამრლება პირდაპირ უკავსირდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კვალიფიციური კადრების არსებობა კი ხელს შეუწყობს მეციერებისა განვითარებას და ინოვაციურ შემოქმედობითობას (ახალი ტექნიკური თუ სხვადასხვა დარგების განვითარების.). რაც აისახება ქვეყნის განვითარებასი. ხარისხიანი განათელება ხომ კონკურენტუნარიან, სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ტრანსპორტი - მსოფლიოსი მიმდინარე მაღალტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად, თანამდროვე ეპოქაში ტრანსპორტის განვითარებამ მოვლენების დაჩქარება გამოიწვია, სახელმწიფოებს, მწარმოებლებს და კომპანიებს შესაძლებლომა

მისცა უფრო სწრაფად შეძლოლ ტვირთბრუნვის განხორციელება და საჭირო რესურსებით მომარაგება. ხოლო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეუბიდან (საქართველო ითვლება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფნად) გამომდინარე, სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს აღნიშნული დარგის განვითარება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან სესაბამისობასი მოყვანა.

ენერგეტიკა - საქართველოს მთავრობისტვის პრიეორიტეტულია ენერგეტიკის სფეროს განვითარება და ენერგო დამოუკიდებლობის მოპოვება, ასევე მისი შესაძლებლობების სრული რეალიზებადა ერთ-ერთ საექსპორტო პროდუქციად ჩამოყალიბება. იქედან გამომდინარე რო საქართველო ითვლება წყალ უხვ ქვეყნად თავისუფლად შეგვიძლია ვთაქვათ, რომ საქართველო შეუძლია გახდეს კავკასიის რეგიონში ელქტრო ენერგიის უმსხვილესი ესპორტიორი. პირველი საფეხური რაც განხორციელდა 2000-იანი წლების დასაწყისში იყო ჰიდროელექტრო სადგურების რეაბილიტაცია, რომელმაც ქვეყანას მიცა შესაძლებლობა დაეძლია მასინ არსებული ელექტორენერგიის კრიზისი და მოსახლეობას მიაწოდა უწყვეტი ენერგია. აქვე უნდა ავღნიშნოთ ის ენერგიის გამომუშავების ბუნებრივი წყაროები რომლებიც სრულად არ არსი გამოყენებული საქართველოში, კონკრეტულად; მზის, ქარის, ბიომასი და გეოთერმული ენერგიები. რომლებიც სასუალებას მოგვცემს შიდა ბაზრის სრულად დაკმაყოფილებას და დამატებითი ენეგიის გამომუშავებას.

ჩემთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულად ითვლება მზინ ენერგიის გამოყენება. მზის ელექტრო ენერგიის სისტემების საშუალებით. კვლევების საფუძვლეზე დადგენილია, რომ დედამიწაზე იმდენი მზის ენერგია აღწევს ერთი საათის განმავლობაში, რაც საკმარისია მთლი მსოფლიოს ელექტრო ენერგიის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. (გ. მუხიგულიშვილი, თ. კვარაცხელია თბილისი 2013.). რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთადა არანაირ ზიანს არ მიაყენბს გარემოს, ასევე ჰიდროელექტრო სადგურებისგანა განსხვავებით არნაირ ზეგევლენას არ მოახდენს გარემო პირობების ცვლილებაზე და რატომ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ ამ ყველეფერს თანადაფინანსებით (გარკვეულ წილად საკანონმდებლო ცვლილებებით სახელმწიფომ უკვე მოახდინა არსებული იდეის წახალისება „განახლებადი

წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“. matsne.gov.ge). იქედან გამომდინარე რომ ფიზიკური პირს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი ელექტრო ენერგია გამოიმუშაოს და არ შეისყიდოს ელექტროენრგია, ასევე მას შეუძლი ზედმეტად გამომუშავებული ელექტროენერგია მიყიდოს სახელმწიფოს და ჩაუშვას საერთო სისტემაში. რაც უფრო მეტად მოხდება მოქალაქეების არსებული სისტემით აღჭურვა მით მეტად შემცირდება შიდა ბაზარზე ელექტროენერგიის შესყიდვის მოთხოვნა და განახლებადი ენერგიის მაქსიმალურად გამოყენების შემთხვევაში გამომუშავდება დამატებით ელექტრო ენერგია შესაძლოა გატანილ იქნას ექსპორტზე.

მეტი თვალსაჩინოებისათვის გამოვყოთ იმ ძირითად საექსპორტო პროდუქციათა რომლებიც გადის ექსპორტზე საქართველოდან, რითაც ნათლად დავინახავთ საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობებს, რამდენად ვრცელია ჩამონათვალი და რომელი ძირითადი პროდუქტი გადის ქვეყნის ფარგლებს გარეთ. (რომელიც ნაჩვენებია ცხრილში)

2019 წელს საექპორტო ათეულში შემდეგნაირად გამოიყურება:

- მსუბუქი ავტომობილები;
- სპილენძის მადნები და კონცენტრანტები;
- ფეროშენადნობები;
- ყურძნის ნატურალური ღვინოები;
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული;
- მინერალური და მტკნარი წყლები;
- ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები;
- სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი;
- ოქრო;
- თხილი და სხვა კაკალი;

არსებულ მონაცემებზე დაკვირვებით ჩანს, რომ საქართველოდან ხდება ძირითადად ერთიდა იგივე სახეობის პროდუქციის, ნედლეულისა ექსპორტი და სხვადასხა სახეობის რეექსპორტი(მაგალითად: მსუბუქი ავტომობილები), არ ხდება

რაიმე ახალი პროდუქციის შექმნა და ექსპორტირება, რაც მიუთითებს სამეწარმეო სექტორის სისუსტეზე, ქვეყანაში მის არასათანადო სტიმულირებას.

ცხრილი 2

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

20.01.2020

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში

	2018 წელი		2019* წელი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	3 355 712.2	100.0	3 771 463.3	100.0	12.4
მათ შორის:					
მსუბუქი ავტომობილები	408 250.8	12.2	686 747.0	18.2	68.2
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	504 456.5	15.0	651 606.2	17.3	29.2
ფეროშენადნობები	352 591.0	10.5	302 964.5	8.0	-14.1
ყურძნის ნატურალური ღვინოები	196 991.5	5.9	222 944.7	5.9	13.2
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	147 163.7	4.4	172 460.3	4.6	17.2
მინერალური და მტკნარი წყლები	110 171.7	3.3	133 570.7	3.5	21.2
ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	129 068.1	3.8	129 259.1	3.4	0.1
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	92 033.9	2.7	94 841.5	2.5	3.1
ოქრო	69 809.6	2.1	72 832.0	1.9	4.3
თხილი და სხვა კაკალი	69 676.7	2.1	66 696.8	1.8	-4.3
დანარჩენი საქონელი – სულ	1 275 498.7	38.0	1 237 540.5	32.8	-3.0

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 6

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2019 წლის იანვარ-სექტემბერი



წყარო: შედგენილია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემების მიხედვით

დიაგრამზე მოცემული 2019 წლის 9 თვის მონაცემები უმსხვილესი სექსპორტო პროდუქციები პოცენტებში, ესენია: სპილენძის მადნები 17 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი 17 პროცენტი, ფეროშენადნობები 9 პროცენტი, ღვინო 6 პროცენტი, მედიკამენტები 5 პროცენტი, მინერალური წყლები 4 პროცენტი, სპირტიანი სასმელები 3 პროცენტი, აზოტის სასუქები, ოქრო დაუმუშავებელი და სიგარეტები 2 პროცენტი, დანარჩენი პოდუქციის წილი კი 33 პროცენტს შეადგენს.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობისა და აგრო სფეროს სტიმულირების ღონისძიებები, რომელიც ჩემიაზრით მნიშვნელობვანია ექპორტის პოტენციალის ზრდისათვის და ხარისხიანი, კონკურენტუნარიან პროდუქციის საწარმმოებლად. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რონისძიებები, როგორიცა: აწარმოე საქართველოში რომელიც უზრუნველყოფ მეწარმეების თანადაფინანსებასა (როგორც ფულადი სახსრებით ასევე

გრანტების მოპოვებითა და ტექნიკური მხარდაჭერით), უცხოური დონორი ორგანიზაციების მოძიებასა და საერთაშორისო გრანტების მოპოვებაში.

ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებები, რომელსაც განვითარებადი სახელმწიფოები ექსპორტის განვითარებისათვის პრიორიტეტულ მიმარტულებად განიხილავენ. ასევე ექსპორტის ხელშეწყობისთვის არის მრავალი მექნიზმი: ექსპორტის სუბსიდირება - რომელიც დიდი პოპულაროობით არ გამორჩევადა არ ხასიათება დადებითი ზეგავლენით. პრაქტიკაში განხორციელებულმა ექსპორტის სუბსიდირებამ ცხადყო, რომ არსებული მიდგომა არაეფექტიანია.

ასევე პრაქტიკაში არსებობს ექსპორტის წამახალისებელი ორგანიზაციები - რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ექსპორტიორი კომპანიებისათვის: ინფორმაციის მიწოდება სტანდარტების შესახებ, დახმარება იურიდიულ ნაწილში, დაფინანსების წყაროების მოძიება და კომპანიებისთვის შეთავაზება. ასვე არის ფინასური სტიმულირება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა.

საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ნაკისრი ღონისძიებები, რომლების ექსპორტის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია. რაც წარდგენილია მიერ ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ ბრიუსელი, 31 იანვარი 2019. კონკრეტულად კი განვიხილოთ ის დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ეკონომიკისა და ბაზრის განვითარებისთვის.

ვაჭრობის ტექნიკურ ბარიერებთან მიმართებასი საქართველოს სახელმწიფო მუდმივად ცდილობს ხარისხისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, შემდეგი მიმართულებით:

- სტანდარტები და მეტროლოგია
- აკრედიტაცია
- ბაზრის ზედამხედველობა

სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები - ხარისხის გაზრდისა და მართვის გაუჯობესებისთვის, სურსათის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ინსტიტუციური გაუმჯობესებას. 2018 წელს ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ

სურსათის ეროვნული სააგენტოს შესახებ მოსახლეობის ინფორმილება იზრდება, მაგრამ ჯერ კიდევ დაბალია ინფორმაციის დონე მოსახლეობაში.

საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა - მიმდინარეობს ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის საბოლოო გადახედვა. საქართველო ახორციელებს შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ რეფორმებს, რათა მიუერთდეს ევროკავშირის კონვენციას ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ და კონვენციას საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ.

ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების სფეროში - ეკონომიკური და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშესაწყობად, ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ელექტრონული ვაჭრობის გასანვითარებლად.

ბიზნეგარემო - საქართველოს კვლავ მოწინავე ადგილი უკავია ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით და დღემდე აგრძელებს რეფორმებს საგადასახადო რეჟიმის, ბიზნეს მმართველობის, დაფინანსებისა და ინოვაციური ტექნოლოგიებზე წვდომის განვითარებითა და გაუმჯობესებით.

სოფლის მეურნეობა - 2017-20 წლებში საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2017 წლის დეკემბერში სოფლის მეურნეობის ექსტენციის სტრატეგიის მიღება. ამ სტრატეგიის განხორციელება 2018 წელს დაიწყო. რომელიც მიზნად ისახავს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მის უფრო მღალ საფეხურზე აყვანასა და სოფლის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

რეგიონული განვითარება - რომლეიც მოიცავს მულტისექტორული რეგიონულ განვითარების გეგმას. რომლის შესაბამისად გამოიყო ოთხი სამიზნე რეგიონი: კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

საგადასახადო სისტემა - საქართველოს მთავრობა განაგრძობს საკანონმდებლო რეფორმებს, რათ მოხდეს მისი დაახლოება ევროკავშირის დირექტივებთან.

სტატისტიკა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხაური მუდმივად მუშაობს ასოცირების შეთანხებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცდილობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კანნონმდებლობის

დაახლოებას ევროპის სტანდარტებთან. (განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე საქსტატი უკვე მაღალხარისხიან სტატისტიკურ მონაცემებს აწარმოებს)

სამომხმარებლო პოლიტიკის - მიმართულებით პარლამენტი ისევ აგრძელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 2015 წელს ინიცირებულ კანონპროექტზე მუშაობას, რომელიც აქამდე არ არის მიღებული. (ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ ბრიუსელი, 31 იანვარი 2019 გვ 23)

ფინანსური მომსახურება - ცენტრალური ბანკი აუმჯობესებს საბანკო სისტემის, გადახდების, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოების გაძლიერებას. ცენტრალური ბანკი ასევე ასრულებს მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების დანერგვას სავალუტო შეუსაბამობების, უძრავი ქონების რისკების და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საკითხების მოსაგვარებლად. ((ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ ბრიუსელი, 31 იანვარი 2019 გვ 24)

შრომის უსაფრთხოება და ჯამრთელობის დაცვა - რაც საშუალებას აძლევს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორებს მოულოდნელ შემოჭმებას დამსაქმებლების. კანონის გამოყენება შეზღუდულია მთავრობის მიერ განსაზღვრული ისეთი ეკონომიკური საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო პირობებს. (ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ ბრიუსელი, 31 იანვარი 2019 გვ 25-26) თუმცა არსებული რეფორმები გრძელდება საერთეშორისო სტანდარტების შსაბამისობასი მოსაყვანად. (სრომის კოდექში ცვლილებების განხორციელებით).

საქართველო როგორც ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განმახორციელებელი ქვეყანა აქვს შესაძლებლობა შექმნას თავისუფალი სავაჭრო ზონები, იმ რეფორმების გატარების ფონზე, როგორიცა საბაჟო გადასახედების შემცირება/გაუქმება, საგადასახახო სისტემის გამართულობა, საქართველო როგოროც ბიზნესის კეთების მხრივრ აღიარებული ერთ-ერთ საუკეთოსო რეფორმატორად განაგრძოს აღებული კურსს და უფრო მეტად გახადოს სავაჭრო პოლიტიკა ლიბერალური, ხელი შეუწყოს და შექმნას უფრო მეტი თავისუფალი სავაჭრო ზონები, ხელსშეუწყობს მოიზიდოს

უცხოური ინვესტიციები, რაც ქვეყანაში ხელს შეუწყობ უმუშევრობის დონის შემცირებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, ახალი პროდუქციის წარმოებას საქრთველოს რეგიონების განვითარებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ქვეყანაში.

3.2 საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სრულყოფის ძირითად მიმართულებად შეგვიძლია გამოვყოთ ის განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება საქარტველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას, ახალი პარტნიორების მოძიებას, ახალ ბაზრებზე გასვლას, ასოცირებ შეთანხმებიტ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, საკანონმდებოლო და საგადასახადო სისტემის დახვეწას. ეს მიმართულებებია:

- საკანომდებლო ცვლილებები;
- ხელშეწყობის ღონისძიებები;
- აღსრულების ხელმშემწყობი ღონისძიებები;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- სოფლის მეურნეობის განვითარება;

საკანონმდებლო ცვლილებეი - საკანონმდებლო სისტემის დახვეწა, საბაჟო გადასახადების ნაწილობრივა ან სრული გაუქმებას(როგორიცა საიპორტოდა საექსპორტო ტარიფები, რას შეეხება საექსპორტო გადასახადეს სრულად არის გაუქმებული). რაც ხელს უწყობს სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციას, მის დახვეწაას და საერთასორისო არენაზე მის საერთაშორისო და ევროპულ სტანდერტებთან მმოყვანას.

ხელშეწყობის რონისძიებები - სოფლის მეურნეობის მოტივაციისათვის განხორციელებული პროექტები (აგროდაზღვეის პროგრამა, აგროკრედიტი, ჩაის პლანტაციების განახლების პროექტი, „დანერგე მომავალი“ და სხვა.)(წყარო სოფლისა

და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო). განათლების დონის ამაღლება კვალიფიციური კადრების არსებობა კი ხელს შეუწყობს მეციერებისა განვითარებას და ინოვაციურ შემოქმედობითობას (ახალი ტექნიკური თუ სხვადასხვა დარგების განვითარების.). ტრნსპორტი და საკომუნიკაციო სისტემების განვითარებისათვის ხელშეწყობა. ასევე სატარიფო და არასტარიფო სისტემის ლიბერალიზაციისათვის განხორციელებული ცვლილებები. (რომელზეც ზემოთვისაუბრეთ)

აღსრულების ხელშწყობის ღონისძიებები - კონტროლის გაუმჯობესება პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებისათვი, მაგრამ აქვე უნდა ავღნისნოთ ისიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ მხრივ აღსრულება საკმად პრობლემებდთან არის დაკავშირებული, რასაც დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს და არ არსბობს სურსატის უვნებლობაზე ეფექტური მექანიზმები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა - რომელიც ხელს შეუწყობს ახალ სამუშაო ადგილების შექმანს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე საქართველოში არის იაფი მუშახელი, რომელიც ზუსტად უმუშევრობის დონის სიდიდთ არის გამოწვეული და ინვესტიციების მოზიდვა ხელს შეუწყობს სამუშაოადგილების სექმნას. ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნას და ასევე შესაძლოა მოხდეს იმორტის შმცირებაც, რაც ასევე შამცირებ იმ უარყოფით სალდოს (ესპორტსა და იმპორტზე), რაც დღეს ფიქსირდება საქართველოში, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის განვითარება - სოფლის მეურნეობის სფერო რომლეი დღეს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული, რაც მნიშვნელოვანია როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე საექსპორტო პროდუციის საწარმოებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ასევე იმპორტ ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოება.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკის საკიტხები - ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება სახემწიფოებთან, რომლეიც საშუალებას იძლევა ჩვენი პროდუქციის ექსპორტს ახალ ბაზრებზე.

სავვაჭრო რეჟიმების განვითარება საქართველოში - არსებული სავაჭრო რეჟიმეების დარგების განვითარება და მათი ხელსეწყობა გლობალიზაციის პირობებში.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებები ემსახურება ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას და განვითარებას, ძლიერი მოკავშირეების შენარჩუნებასა და მათთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, არსებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის შენარჩუნებას. ვინაიდან, საქართველოში სათანადოდ არ არის განვითარებული წარმოება-მრეწველობა და ადგილობრივი პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი ხშირად ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, იგი ვერ უზრუნველყოფს შიდა ბაზრის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას და ამასთანავე კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ საქონელსაც. რაც გარკვეულწილად განპირობებულია საქართველოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის არსებობით, კერძოდ, მართალია გლობალიზაციის პირობებში სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია (სრული თავისუფლება) საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების წარმოშობა-განვითარებაში, მაგრამ საქართველოში წარმოებული ყველა პროდუქცია ჯერ კიდევ არ არის მაღალ ხარისხიანი, ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს და ვერ გადის ევროპის და სხვა განვითრებული ქვეყნების ბაზრებზე. ხოლო, იმპორტის შემთხვევაში კი, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა ხელს უწყობს იმპორტულ საქონელზე დაბალი ფასების შენარჩუნებას და შესაბამისად, მასზე მოთხოვნის ზრდას ქართულ პროდუქციასთან შედარებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ შეძლოს შიდა წარმოების პროდუქციის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება, რაც ქვეყნის ექსპორტის პოტენციალისთვის სარგებლის მომტანი იქნება, ასევე, მინიმალური სტანდარტის დაწესება, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იმპორტული საქონელი და მოხდეს მისი კონტროლი.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკა თანდათან სრულიად ერთვება მსოფლიო გლობალიზაციაში. ნაშრომში მოყვანილი სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავაკვირდებით, იოლად შესამჩნევია თუ რამდენად არის საქართველო დამოკიდებული საერთაშორისო ბაზრებზე, მათ შორის კავკასიის რეგიონის ქვეყნების ბაზრებზე. ქვეყნის გარეთ გასული საქონელის უმეტესობა (ექსპორტირებული პროდუქცია) არის ბუნებრივი რესურსები. ხოლო, ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება უმეტეს წილად იმპორტირებული პროდუქციით.

მართალია ბოლო ორი ათეული წელია საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ქვეყანაში ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების დადგენას, საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, აწარმოებს მოლაპარაკებებს ანდა აფორმებს შესაბამის შეთანხმებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგრამ როგორც წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში მოყვანილი ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მონაცემებიდან ჩანს, ექსპორტსა და იმპორტს შორის მუდმივად არსებობს მაღალი უარყოფითი სალდო. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კურსი და ეკონომიკის განვითარების დინამიკა იძლევა იმედს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებისა, რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში მოჰყვება უარყოფითი სალდოს შემცირება, ქვეყანაში იმპორტის ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოების დაწყება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება ქვეყანაში შემოტანილ საქონელთან.

სახელმწიფოს სავაჭრო პოლიტიკის სტრატეგიით, რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევას, დაგეგმილი ქმედებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, საჭიროა საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომების გაზიარება, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების შესრულება, ასოცირების შეთანხმების რეკომენდაციების განხორციელება და კეთილ მეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება კავკასიის რეგიონის ქვეყნებთან და სხვა სავაჭრო პარტნიორებთან. ასევე, ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვა და კონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სტიმულირება.

ეს ყველაფერი დადებითად აისახება შიდა ბაზრის განვითარებაზე, ინვესტიციების ზრდაზე, ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანაზე საქართველოს

ტერიტორიაზე, რომელიც გაზრდის წარმოებული პროდუქციის ხარისხს, მის კონკურენტუნარიანობას, რაც ხელს შუწყობს მრეწველობის განვითარებას და ექსპორტის ზრდას და შესაბამისად მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

შიდა ბაზრის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისა და ექსპორტის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ დარგში შესაძლებელია განვითარების მაღალი ტემპების მიღწევა და ხარისხიანი ქართული ნაწარამის წარმოება, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით ისარგებლებს უცხოურ ბაზრებზე.

აღსანიშნავია ასევე, ენერგო სფეროც (ელექტროენერგია), რომელსაც საქართველოში უდიდესი პოტენციალი აქვს, როგორც ბუნებრივი რესურსების მიმართულებით, ასევე, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ღონისძიებების შედეგად შექმნილი ხელსაყრელი გარემოს არსებობის პირობებში განახლებადი ენერგიის ათვისების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, ენერგეტიკის გამომუშავების მიმართულებით. რაც მისცემს სახელმწიფოს ენერგო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მის საექსპორტოდ წარმოების საშუალებას.

საერთო ჯამში სახელმწიფომ სავაჭრო პოლიტიკაში გადადგა მნიშვნელოვანი და ქმედითი ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ადგილობრივი წარმოების განვითარების სტიმულირებას სხვადასხვა მიმართულებით. სეგმენტის გაფართოება კი ხელს შეუწყობს გავიდეთ სხვა ქვეყნების ბაზრებზე, მრავალი სახეობის პროდუქციით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავტორთა კოლექტივი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ ტომი 1 თბილისი 1970. გვ 358-391.
2. ავტორთა კოლექტივი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2, თბილისი, 1977;

3. ავტორთა კოლექტივი ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტომი , თბილისი, 1987;
4. გეჩბაია ბ. „კავკასიის რეგიონის ეკონომიკის პრიორიტეტები და ტენდენციები გლობალიზაციის ხანაში“ თბილისი 2013. გვ 75-122;
5. გველესიანი ე. „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ძირითადი მიმართულებები“ ქუთაისი 2009;
6. ლინდერტი პიტერ ჰ. „საერთაშორისო ეკონომიკა“ ირვინი 1986. თბილისი საგამომცემლო ფირმა „სიახლე“. გვ 85-130;
7. მექვაბიშვილი ე. „თანამედროვე ეკონომიკური თეორიები“ თბილისი 2016;
8. ნადარეიშვილი გ. „რომის სამოქალაქო სამართალი“ თბილის 2005. გვ 15-17;
9. პაპავა ვ. „საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები“ თბილისი 2015. გვ 42-50;
10. სილაგაძე ა. „ეკონომიკური დოქტრინები“ თბილისი 2010;
11. სილაგაძე ა. ათანელიშვილი თ, „მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინა“ თბილისი, 2007 გვ.30-34.
12. თოდუა გ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწილი 1, თბილისი, 2004. გვ. 578-602.
13. ქარუმიძე ვ. „საერთაშორისო ორგანიზაციები“ თბილისი 2003. გვ 92-116. გვ 168-197;
14. ძებისაური ლ. „საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა“ თბილისი 2012;
15. ჯოლია გ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ თბილისი 2015;
16. სევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA); 31. 05.2016 http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7

17. განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ, 20/12/2019; https://matsne.gov.ge/ka/document/view/4737753?publication=0

18. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ, ბრიუსელი, 31 იანვარი 2019;
https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_ka_2.pdf
19. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, (GATT 1994);
http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98.pdf
20. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, 16/04/2002;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1097732?publication=0
21. მზის პანელები და ქარის სადგური საკუთარ სახლში - როგორ უნდა გაყიდოთ ელექტროენერგია, 17.07.2017;
https://bm.ge/ka/article/mzis-panelebi-da-qaris-sadguri-sakutar-saxlshi---rogor-unda-gayidot-eleqtroenergia/12899
22. მუხიგულიშვილი გ. კვარაცხელი თ. „ენერგიის განახლებადი წყაროები და ენერგოეფექტურობა“ თბილისი 2013. გვ 6-25;
http://weg.ge/sites/default/files/energiis_ganaxlebadi_cqaroebi.pdf
23. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“ 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში;
http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/me_strategy_annual_report_2019_1_geo.pdf
24. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს შექმნის შესახებ, 24/04/2001;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1254497?publication=0&fbclid=IwAR32nO9Io-WFXkmwbgM7uwpILt6RRcveipJYq26UnpRyFUHDe8A40lyj8fg
25. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ, 27.12.2005. ;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/25426?publication=9

26. სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის დამტკიცების თაობაზე. საქართველოს მთვრობის განკარგულება, 28.12.2010; http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf
27. ქათამაძე დ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“. ბათუმი 2008. გვ 120-129; https://lib.bsu.ge/e-books/book_279.pdf
28. ღაღანიძე გ. „საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები“ თბილის 2014; https://cu.edu.ge/files/Docs/Reasearch/%E1%83%92.%20%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94%20%E2%80%93%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%AF%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E2%80%992%E

2%80%99.pdf?fbclid=IwAR2PR2pg5VFFrd4ink_jUx5y7BmnTDcSIU0mOsJGbSn5OnP5-w_jBH7tiuY

29. შარაშენიძე ა. „ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუარიანობის ამაღლების სტრატეგია“ თბილისი 2018. გვ 78; http://www.press.tsu.ge/data/image_db_innova/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf
30. Code of Hammurabi, Translated by L. W. King, Internet History Sourcebooks Project, ბოლო ჩასწორება 21 იანვარი 2020 https://sourcebooks.fordham.edu/ancient/hamcode.asp]
31. GENERAL AGREEMENT ON TARIFFS AND TRADE. GENEVA, 07 1986; https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47.pdf
32. https://www.geostat.ge/media/28994/saqonlit-sagareo-vachroba-saqartveloshi-20.01.2020-%28geo%29.pdf (20.01.2020);
33. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba (2019)
34. https://esco.ge/ka/import-eksporti/by-year-1 (მაისი. 2020 წ.)
35. https://osgf.ge/publication/saqartvelos-eqsportis-dinamikis-calkeuli-aspeqtebi-sagareovachrobisliberalizaciisfonze/?fbclid=IwAR0anwzuGRiVdBOiwbiVI_v0ZmAYL__xllWI6T5hSVNI2qMaXHCInF75bwY
36. https://forbes.ge/blog/152/saqarTvelos-sagareo-vaWrobis-mimoxilva?fbclid=IwAR29ec4H88J9BZl1srU1RLh32Sd6P4nV0HqGOTo-q0jXmLX2JE-hULTyI4I (07.12.2015)
37. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti (2019)
38. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638 (2019)
39. http://www.arda.gov.ge/projects (2020)

40. http://geworld.ge/ge/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1/
41. http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=17&lang=geo (2019)
42. http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement (2018)
43. http://www.economy.ge/index.php?page=ecopolitic&s=12 (2020)
44. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf (2018)
45. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2019_9_month_final.pdf (იანვარ-სექტემბერი 2019 წ.)
46. წარმოშობის წესები და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების შესახებ, (განახლებულია საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ქვეკომიტეტის 2018 წლის 20 მარტის №1/2018) http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/agreement/trade/I%20%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf